


№ 708. 1090/2



1090/2

◆◆◆◆◆ **ფ ა ს ი** ◆◆◆◆◆
კერძო პირთათვის 20 კაპეიკი.
სახელმწიფო დაწესებულ. 15 კაპ.

პრინციპალური ევკლა ქვეყნის, შვედეთის

წელიწადი
მეცხრე

მთაბე

კვირა,
5 აგვისტო.
1923 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 54

ე თ ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი ო რ გ ა ნ ო .

№ 54

480

ქურნალ „მთაბე“-ს რედაქციისაგან.

ევკლა ხელის მოძწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საუურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ეურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

უვალა ხალის მომწერი ვალდაგულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხალის მომწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოასკობათ ქურნალის გზავნა.

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—30.000 მანეთი.

დოკუმენტების დაკარგვის შესახებ დასაბუჯდი განცხადებების ფასი 200.000 მანეთი.


ქურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.



რედაქცია ღიია ღილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.



ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ე

ს.კ. ცენტრ. კავ. კომიტეტი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. ივნისის 11.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის მდიურების შესახებ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქმნეს შემდეგი დებულება — ამიერ-კავკასიაში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციისა — კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესასწავლად.

1. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე (საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკები) მიზნად ისახავს როგორც ამ ქვეყნების, ისე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ყოველმხრივ შესწავლას და აგრეთვე სამეცნიერო და გამოყენებითი ცოდნის გავრცელებას მის შესახებ.

2. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ამოცანას შეადგენს შესწავლა: ა) პოლიტიკურ-ეკონომიური და სოციალური საკითხებისა და ბ) ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხებისა, რისთვისაც იგი გაჰყოფს თავის სამეცნიერო მუშაობას ორ სათანადო სექციად.

3. აღნიშნული სამეცნიერო მიზნების განხორციელებისათვის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია:

ა) მეცნიერული ურთიერთ დახმარების მიზნით, დაიჭერს ურთიერთობას არსებულ სამეცნიერო საზოგადოებათა და ორგანიზაციებთან და იქონიებს მათთან სამეცნიერო და საინფორმაციო კავშირს;

ბ. აღმოუჩინოს დახმარებას ორგანიზაციათ და დაწესებულებათ ასოციაციის მიზნების განხორციელების საქმეში, როგორც ადგილობრივ, ისე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლების გარეშეც;

გ) მოაწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს-ექსკურსიებს;

დ) გამოსცემს თავის შრომათ.

შენიშვნა: ყველა საადრიცხვო და საორგანიზაციო განზრახულება ექსპედიციის მოწყობისა და საგამომცემლო მუშაობისათვის — წარედგინება დასამტკიცებლად, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

4. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციას აქვს თავისი განყოფილებანი საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებში.

5. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვინც მუშაობს ასოციაციის მიზნების სფეროში, თანაუგრძობს ამ მიზნებს და სასარგებლო იქნება ასოციაციისათვის.

6. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის წევრი განიყოფიან ნამდვილ წევრებად და კორესპონდენტ წევრებად:

ა) ასოციაციის ნამდვილ წევრად შეიძლება იყოს ყოველი პირი, ვისაც აქვს სპეციალური ნაშრომი, ასოციაციის მიზნების სფეროში, ან ლიტერესებულისა სათანადო კითხვებით. იგი აირჩევა განყოფილების საერთო კრებაზე განყოფილების ორი ნამდვილი წევრის წერილობითი, დასაბუთებული წინადადებით, ხმის უბრალო უმრავლესობით;

ბ) წევრი-კორესპონდენტი აირჩევა განყოფილების წევრთა საერთო კრებაზე მე-5 მუხლში აღნიშნულ პირთაგან; წევრი კორესპონდენტი მიაწოდებს იმფორმაციას თავის განყოფილებას ყველა საკითხში, რაც უკანასკნელს აინტერესებს, შესრულებს ცალკე დავალებათ და სარგებლობს სათანადო ხმის უფლებით.

7. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ყველა საქმეებს განაგებს პრეზიდიუმი 5 კაცისაგან; ორს მათგანს — თავმჯდომარეს და პასუხისმგებელ მდივანს, დანარჩენს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო სამს ვაგზავნის რესპუბლიკანური განყოფილებანი — თვითკული თითოს, პრეზიდიუმი დასახელებს თავისი წრიდან მეცნიერ-მდივანს და სამეცნიერო სექციების გამგეთ.

8. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმი იმყოფება ქ. ტფილისში, მას სისრულეში მოჰყავს მე-3-მე მუხლში ჩამოთვლილი სამეცნიერო დავალებანი და ხელმძღვანელობს განყოფილებათ.

9. ადგილობრივი განყოფილება აწარმოებს საქმეს და ასრულებს ასოციაციის დავალებათ რესპუბლიკის მასშტაბით, — თანახმად ასოციაციის პრეზიდიუმის ინსტრუქციებისა.

შენიშვნა: ყველა თავის სამეცნიერო მუშაობასა და მასალას, განყოფილება წარუდგენს პრეზიდიუმს.

10. ასოციაციის თვითკული რესპუბლიკანური განყოფილება აირჩევს გამგეობას სამი კაცისაგან. გამგეობა აირჩევს თავისი წრიდან მეცნიერ-მდივანს, რომელსაც დაამტკიცებს პრეზიდიუმი.

11. განყოფილებას შეუძლიან, იმ მიზნების ფართოდ შესრულებისათვის, რაც მას დასახული აქვს, როგორც სახელმწიფოთა შესწავლის, ისე მათ შესახებ სამეცნიერო ცოდნის გავრცელების საქმე.



ში,—მოაწყოს თავისთან ფილიალები და ნაციონალური სექციები.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმთან, განყოფილება დაიქვრს ურთიერთობას, თავისი მეცნიერი-მღვივის მეშვეობით.

12. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდიუმს აქვს ბეჭედი წარწერით: „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან“.

რესპუბლიკანური განყოფილების გამგეობას აქვს ბეჭედი წარწერით: „კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია“—... განყოფილება.

13. ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ფინანსები შესდგება იმ თანხებიდან, რასაც გადასდებს (აღრიცხვით) ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

14. ამიერ კავკასიის სამეცნიერო ასოციაცია წელიწადში ოთხჯერ გაგზავნის ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, დაწვრილებითი ანგარიშს თავისი მოქმედებისა და აგრეთვე მის მიერ დახარჯული თანხების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა 1923 წ. ივნისის 25.

კანონპროექტების წადგენის წესის შესახებ.

საკანონმდებლო კომისიაში კანონპროექტის წარდგენის შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა წლის აპრილის 16 თარიღით გაცემული ცირკულიარული განკარგულების დამატებად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ყოველი კანონპროექტი, რომელსაც უწყება შეიტანს საკანონმდებლო კომისიაში, შედგენილ უნდა იქნეს დეკრეტის პროექტის სახით და შიგ გარკვევით უნდა აღინიშნოს გასაუქმებელი ან შესაცვლელი კანონდებულება. ამა პროექტის თითო ცალი, გარდა დაწესებული ხუთი ცალისა, იმავე დროს უნდა გაეგზავნოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თვითივე წევრს კუთვნილებისამებრ.

2. საკანონმდებლო განზრახულების საკანონმდებლო კომისიაში შეტანის წინასწარ უნდა მოხდეს შეთანხმება დაინტერესებულ უწყებებთან,

რაც დადასტურებული უნდა იყოს დაწესებულებების მეთაურის ხელმოწერით პროექტზე, ან მისი წერილობითი პასუხით.

3. უკეთუ შესატანი პროექტის შესახებ დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმება მიღებულ ვერ იქნა, ყოველი არა შეთანხმებული თვალსაზრისი გარკვევით უნდა იქნეს აღნიშნული.

4. უკეთუ ის უწყება, რომელთაც შესატანი წინადადება წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს შვიდი დღის განმავლობაში დღიდან მის მიერ პროექტის მიღებისა, — არ წარუდგენს კანონპროექტის შემტან უწყებას თავის წერილობითი დასკვნის კონტრ-პროექტს, პროექტი შეიძლება შეტანილ იქნეს საკანონმდებლო კომისიაში შეუთანხმებელი სახითაც და ამ შემთხვევაში საქმის შემდგომი წარმართვა განისაზღვრება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა ან ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით — კუთვნილებისამებრ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე მ. ცხაკაია

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

დადგენილება.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი 1923 წ. ივნისის 22.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აწარმოის გადამსდელთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-19 მუხ. განსავითარებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-13 მუხ. თანახმად მოსაწყობ სამაზრო საგადასახადო სამეურნოს მიეცეს უფლება გადასახადის არა პირიანი გადამსდელი დაატუსაღოს ორ კვირაზე არა უმეტესი ვადით და აგრეთვე მიეცეს უფლება დაადოს მას ჯარიმა ერთ მეხუთედზე არა უმეტეს გადასახადის იმ ნაწილისა, რაც მას გადასახდელი აქვს უწყებული ვადის განმავლობაში.

შენიშვნა: ერთსა და იმავე დროს დატუსაღდებაც და ჯარიმის დადებაც არ შეიძლება.

2. დატუსაღება და ჯარიმის დადება განიხილება: ა., — გადასახადის თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის. ბ., — გადასახადის ანგარიშში მეორეჯერ

უხეირო პროდუქტის წარმოდგენისათვის იმისდამიუხედავად, რომ პროდუქტის მიღებაზე ერაზხელ უკვე უარი იყო განცხადებული.

3. დატუსაღება ან ჯარიმის დადება შეიძლება ორ ჯერზე არა უმეტესად თვითეული გადახდილის მიმართ.

4. თვითეული დატუსაღებისათვის ან ჯარიმის დადებისათვის შედგენილ უნდა იქნეს დასაბუთებულ-თებული დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რაში გამოიხატება გადამხდელის არაპირიანობა; აგრეთვე მას წინასწარ უნდა განემარტოს—რა სასჯელიც შეიძლება მოელოდეს მას შემდგომისათვის. დადგენილება უნდა გამოეცხადოს გადამხდელს მისი ხელის მოწერით, ხოლო უკეთუ მან წერა არ იცის, ორი მოწმის თანდასწრებით.

5. აღნიშნული დადგენილება ასრულებაში მოყვანილ უნდა იქნეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების მეშვეობით.

6. გადამხდელს უფლება ეძლევა განასაჩივროს საგადასახადო საქულის მოქმედება—სასჯელის დადების გამო—ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს სასჯელის შეფარდებას.

7. საგადასახადო სამეული პასუხისმგებელია აღმინისტრაციული და სასამართლოს წესით, უკეთუ უკანონოდ გამოიყენებს ამა დადგენილებით მინიჭებულ უფლებას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯ. მ. ცხაკაია.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. მდივ. ბ. თალიბლი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან შეფთა ბიუროების დაარსების დებულების 5 მუხლის 1-ლი შენიშვნისა და 12 მუხლის შეცვლის შესახებ.

1923 წლის ივნისის 11.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წლის აპრილის 16-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან შეფთა ბიუროების მოწყობის შესახებ დამტკიცებული დებულების 5 მუხლის 1-ლი შენიშვნა და

მე-12 მუხლი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: შენიშვნა 1: საჩივარი საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიის დადგენილებისა და განკარგულების შესახებ—რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (აზერბეიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსი) მეშვეობით—წარედგინება ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბჭოს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოდ ჩითვლება. მუხ. 12, საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიები და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები ყოველთვიურად წარუდგენენ თავიანთი მოქმედების ანგარიშს სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და გარდა ამისა, საქალაქო (სამაზრო) ბიუროები—რესპუბლიკანურ კომისიებს, ხოლო რესპუბლიკანური კომისიები—რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (აზერბეიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსი) მეშვეობით—ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბჭოს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

დადგენილება


ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისათვის უკიდურესი განაკვეთის დაწესების შესახებ საჩერვონცო მანეთით 1923 წ. ივნისის „29“.

ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების უკიდურესი განაკვეთის მოწესრიგებისათვის საჩერვონცო მანეთობით—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საერთო-სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიკუთვნებულ ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ 1923 წ. აპრილის 2 თარიღით გამოცემული დეკრეტის („ზარია ვოსტოკა“ 1923 წ. აპრილის 12 № 81) მე-2 კარის მე-3 თავის, მე-6 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთის შესაცვლელად—დაწესებულ იქნეს შემდეგი უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი საჩერვონცო მანეთობით ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისათვის.

1. ზიდვა-ტარების მრეწველობისათვის სეზონში ზიდვა-ტარებაში მამუშავე ცხენზე და საქონელზე:

ა. ქალაქად (მე-ნპ.). 7 მან.



- ბ. ქალაქ-გარე დასახლე-
ბულ ადგილას (მე-5 პ.) 2 მ.—50 კ.
- 2. საეტლო ცხენებისა და ეტლებისათვის ნახე-
ვარ წლობით.
 - ა. ქალაქად—(მე 8 პ.) ცხენზე და
ეტლზე 14 მან.
 - ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ ადგილას მე-9 პ.):
ცხენზე და ეტლზე 5 მან.
 - ეტლზე 2 მ. და 50 კაპ.
- 3. ველოსიპედისა და თვითმობრავი ეტლისა-
თვის ნახევარწლობით:

- ქალაქად (მე 9 პ.) და ქალაქ-გარე
დასახლებულ ადგილას (მე-8 პ.):
- ა. ველოსიპედზე 1 მ. და 50 კ.
- ბ. თვითმობრავ ეტლისა და მოტორიანი ნავ-
ჭურჭლის თვითეულ ძალაზე 2 მ. და 30 კ.
- გ. იახტაზე 18 მან.
- დ. ტვირთშიდავის თვითეულ ძალაზე 1 მან.

4. ბაზარზე გასაყიდად მორეკილ საქონლისათ-
ვის ქალაქად (მე-11-ე მუხ.)

- ა. თვითეულ მსხვილფეხა საქ. 50 კ.
- ბ. თვითეულ წვრილფეხა საქ. 10 კ.

5. საქონლისა და სხვა შინაურ ცხოველთათ-
ვის ქალაქად (მე-11 პ.) ნახევარ წლობით:

- ა. თვითეულ სხვილფეხა საქ. 1 მ.
- ბ. თვითეულ წვრილფეხა საქ. 20 კ.
- გ. ძალზე 1 მ.

6. იმ პირთათვის, რომელნიც საშინაო საჭირო-
ებისათვის დაქირავებულ შრომას გამოიყენებენ
—ნახევარ წლობით—ქალაქად (მე 14 პ.)

- ა. ერთ მსახურზე 5 მ.
- ბ. ერთ მსახ. მეტისათვის . 14 მ.

7. პლაკატისა, აფიშისა და განათებული რეკ-
ლამისათვის ქალაქად (მე-16 პ.).

- ა. პლაკატზე და აფიშაზე თვითეული ათასი
ცალის ერთი ოთხკუთხი ვერშოკისათვის 2 კ.
- ბ. განათების რეკლამაზე—რეკლამის
თვითეული ვერშოკისათვის—თვითურად . 4 კ.

8. გამოსაღები საზოგადოებრივი სახწორის სა-
რგებლობისათვის.

- ა. ქალაქად (მე-17 პ.) ფუთზე 2 კ.
- ბ. ქალაქ-გარე დასახლებულ
ადგილას (მე-6 პ.) 1 კ.

9 საჩანაწერო გამოსაღები თვითეული ჩაწერი-
სათვის.

ქალაქად (მე-20 პ.) 10 კ.
II. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
ფრანსთა სახალხო კომისარიატმა ცალკე ინსტრუ-
ქციით უნდა შეიმუშაოს წესი ადგილობრივი გადა-
სახადისა და გამოსაღების საჩერვონცო განაკვეთის
ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე გადატანისა ამ

გადასახადის გადახდევინების დროს საკოტერო კოლქი
მისიის კურსის მიხედვით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებე-
ლი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სა-
ხალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორენელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასრულ.
კომიტეტის მდივანი ბ ტალბლი.

დადგენილება.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ.
საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბ-
ჭოსი. 1923 წ. ივნისის 1.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებე-
ლი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ.
საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გადიდებულ იქნეს ამ ჟამად მომქმედი სახელ-
მწიფო საღერბო გადასახადთა წესდების მე-3 მუხ.
აღნიშნული უბრალო საღერბო გადასახადის რაო-
დენობა და დაწესებულ იქნეს. 10.000 მან. მა-
გიერ—40.000 მან.; 20.000 მან. მაგიერ—60.000
მან.; 100.000 მაგიერ—300.000 მან. და 200.000
მან. მაგიერ—500.000 მან. ამიერ-კავკასიის ფუ-
ლის ნიშნებით.

2. ამ ჟამად მომქმედი სახელმწიფო საღერბო
გადასახადის წესდების მე-15 მუხლს დაერთოს შემ-
დეგი შენიშვნა:

შენიშვნა: რაოდენობა გადასახდევინე-
ბელი თანხისა განისაზღვრება ჩერვონცებად იმ
დღის კურსის მიხედვით, როდესაც დარღვეულ
იქნა სახელმწიფო საღერბო გადასახადის წეს-
დება და შემდეგ ეს თანხა გადატანილ უნდა
იქნეს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე იმ
დღის კურსის მიხედვით, როდესაც გამოაშკა-
რავდა დარღვევა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებე-
ბელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის
მდივანი თალიბლი.

საქ. კავკ. სსრ. კომიო. საბჭო.

დადგენილება № 55.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

1923 წლის ივნისის 7.

შავი ზღვის ნაპირის ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურში საღებო გადასახადის გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 62 ნომრით გამოცემული დადგენილების პირველ მუხლში გათვალისწინებული შეღავათი ნავტურქელთა საღებო გადასახ. დისაგან განთავისუფლების შესახებ პირველი 72 საათის განმავლობაში ნავტურქელის ნავთსადგურში მოსვლის დროიდან, გავრცელდეს მხოლოდ იმ ნაოსნობის საზოგადოებათა სამგზავრო და საბარგო ნავტურქელზე, რომელთაც დაწესეს რევოლიუციონური მიმოსვლა, ე. ი. რომელთა ნავტურქელი მოდის ხოლმე ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურებში განსაზღვრულ დღეებს, — საერთოდ ორჯერზე არა ნაკლებ თვეში.

2. განთავისუფლდეს საღებო გადასახადისაგან პირველი 120 საათის განმავლობაში ის ნავტურქელი, რომელიც მოდის ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურებში შავი-ქვისათვის, ხოლო ცარიელი; ნავტურქელი, შემოაღნიშნული რაიონის ნავთსადგურში ტვირთით მოსული, რომელსაც უკან თუნდა შავი-ქვაც მიჰქონდეს, დაიბეგროს ყველა გადასახადით ყოფილ საზღვაო ტრანსპორტის სამართველოსადმი 1921 წლის ნოემბრის 3-ს თარიღითა და 84 ნომრით გაცემული ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად.

3. ნება მიეცეს ნავთსადგურთა განყოფილებას ამა დადგენილების პირველი მუხლის განსავითარებლათ შეიმუშაოს და განახორციელოს დაწვრილებითი წესი აღნიშნულ გადასახადთა გადახდევინების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავჯდომარე — მ. ო რ ე ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს საქმეთა მმართველი — მ. პოლის

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს მდივანი — გ. სარუხანოვი,

მის დადგენილების თანახმად, ამხ. ლადო დუმბადე დანიშნულია ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის მისრად.

2. უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს თავჯდომარედ დანიშნულია ამხ. ჟოჟკაშვილი.

ს. ს. ცენტრალური აღმ. კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე ვ. გ. სტურუა.

ს. ს. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივლისის 10.

ტფილისის — სასახლე.

დადგენილება № 45.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სახელმწიფო ღებნიანი ბეჭდის ხმარებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. აპრილის 10 თარიღით და 35 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სახელმწიფო ღებნიანი ბეჭდის ხმარების წესის შესახებ 1923 წ. აპრილის 10 თარიღით და 35 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 2. სახელმწიფო ღებნიანი ბეჭედი შეიძლება დამზადებულ იქნეს მხოლოდ მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შინაგანი მმართველობის განყოფილების ნებართვით, რომელმაც სისწორით უნდა აღნუსხოს ბეჭდის შეკვეთისათვის ყველა გაცემული ნებართვა.

სრულიად საქართველოს საბჭოს ცენტრალური აღმ. კომ. თავჯდომარე მოადგილე ვ. გ. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭოს ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი

1923 წ. ივლისის 10.

ტფილისის — სასახლე.

საქ. სსსრ. კომიო. საბჭო.

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რევოლუციის გზით ჩამორთმეული ქონების სარგებლობის წესის შესახებ.

1. ყოფილ მესაკუთრეს, რომელსაც ქონება, ამა დეკრეტის გამოცემამდე ჩამოერთვა ნაციონა-

საქარ. ცენტრ. აღმ. კომიო.

ბრძანება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1. სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუ-

ლიზაციისა, მუნიპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით, ან ვისი ქონებაც, საერთოდ, გადავიდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულების მფლობელობაში, — უფლება არ აქვს მოითხოვოს ამა ქონების უკან დაბრუნება.

შენიშვნა: დავის გადაწყვეტის წესი იმ ქონების შესახებ, რომელიც ჩამოერთვა ყოფილ მფლობელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ მიღებულ მიწის რეფორმისთან (1923 წლის თებერვლის 23-ს დადგენილება) დაკავშირებით, — განისაზღვრება ამ საგანზე არსებული ინსტრუქციებით მიწადმოქმედების სახალხო კომისარისა.

2. სხვათა შორის ყოფილ მესაკუთრეს არ შეუძლიან მოსთხოვოს ფაქტიურ მფლობელს საოჯახო ნივთები (ავეჯუეულობა, ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაცმელი, ქურჭლეულობა და სხვ.) — უკეთეს ეს ნივთები მიღებულია სათანადო სახელმწიფო (კომუნალური) ორგანოებისაგან დადგენილი წესით.

შენიშვნა: წესი ესე არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ნივთი შესანახად ან სარგებლობისათვის გადაეცემა მის ფაქტიურ მფლობელს იმ პირობით, რომელიც წარადგენს მოთხოვნას ქონების დაბრუნების შესახებ.

3. საოჯახო ნივთები, რომელიც მე 2-რე მუხლში გათვალისწინებული წესით გადასულია მუშათა და მოსამსახურეთა სარგებლობაში, დარჩება მათ სარგებლობაშივე იმ დრომდე, ვიდრე ისინი დასცლიან დაქვრილ სადგომს.

შენიშვნა: სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს ნება ეძლევა, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის დამტკიცებით, გამოსცეს დაწვრილებითი წესი ამა ნივთების სარგებლობისათვის.

4. ქონების ყოველგვარი კონფისკაცია მომავლისათვის შეიძლება მოხდეს მხოლოდ რეკვიზიციისა და კონფისკაციის კანონის წესისამებრ და საქმე ქონების არაკანონიერი ჩამორთმევის შესახებ, განხილულ უნდა იქნეს სასამართლო დაწესებულებათა მიერ.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისარიათა საბჭოს მდივანი:
ალ. სალარიძე.

1923 წ. ივნისის 11.
ტფილისი — სასახლე.

ბრძანება № 9.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისარიათა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სა-

ხალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სახალხო ბანკის მმართველად დანიშნულია ახ. ბიბინეიშვილი (ბარონი), ხოლო მის მოადგილედ ახ. იასონ ლორთქიფანიძე.

საქართველოს სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისარიათა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. ივნისის „9“.
თბილისი — სასახლე.

ბრძანება № 11.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს ს. ს. რ. სასურსათო სახალხო კომისარის მოადგილედ დანიშნულია ახ. ალექსანდრე ვაშაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

ს. ს. რ. სახალხო კომისარიათა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. ივლისის 10
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 101.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოსი — მეურვეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენს, შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება მეურვეობის შესახებ.

თავი I.

მეურვეობის ორგანოები.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეურვეობია საქმეს განაგებს: არა სრულწლოვანისას — განათლების სახალხო კომისარიატი, ხოლო სრულწლოვანისას; არა ჰკუთამყოფელისა შეშლილისა, მულანგველისა და წერაკითხვის უცოდინარი ყრუ-მუნჯისას იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

2. აღნიშნული კომისარიატები მოქმედებენ ქვემოთ დასახელებულ დაწესებულებათა მეშვეობით, რომელნიც ჩაითვლებიან სამეურნეო დაწესებულებად და თავის მიზანს მეურვეობის საქმეში განახორციელებენ მეურვეთა მეშვეობით.

3. სახალხო განათლების კომისარიატის სამეურვეო დაწესებულება არის: ქ. ტფილისში — არა

სრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილება, სამაზრო ქალაქებში—სახალხო განათლების განყოფილება, ხოლო სოფლად სახალხო განათლების უახლოესი განყოფილება, რომელიც მოქმედობს თემის აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

4. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამეურვეო დაწესებულებად ჩაითვლებიან სახალხო მოსამართლენი.

5. ამ სამეურვეო დაწესებულებათა მოვალეობას, მეურვეობაში მყოფთათვის ზრუნვის საერთო ღონისძიებათა გარდა, შეადგენს მეურვეობის დაწესება და გაუქმება, მეურვის დანიშვნა, და დათხოვნა და მისი მოქმედების საერთო ზედამხედველობა.

6. სახალხო განათლების კომისარიატს ექვემდებარება: მცირეწლოვანთათვის ზრუნვის საერთო ღონისძიებათა ხელმძღვანელობა და სახალხო განათლების განყოფილებათა მოქმედების ზედამხედველობა.

7. მეურვე დაიცავს მეურვეობაში ყველა პირადსა და ქონებრივ ინტერესს და ჩაითვლება მისი კანონიერ წარმომადგენლად.

თავი II.

მეურვეობის დაწესება და გაუქმება.

8. მეურვეობა დაწესდება არა სრულწლოვანისათვის, სრულწლოვანთა შორის-კი სულით ავადმყოფობისა, ფლანგველისა და წერაკითხვის უცოდინარი ყრუ-მუნჯისათვის და განხორციელდება სამისოდ სპეციალურად დანიშნული მეურვის მიერ.

9. არა სრულწლოვანად ჩაითვლება ის ვინაც 18 წელი არ შესრულებია.

10. მეურვეობაში მიცემულ უნდა იქნეს ყველა არა სრულწლოვანი, რომელიც არ იმყოფება მშობლებისა ან ერთი მათგანის ზრუნვაზე.

11. სულით ავადმყოფი მიცემულ უნდა იქნეს მეურვეობაში, უკეთუ დადგენილი წესით ცნობილ იქნება, რომ იგი სულით ავადმყოფია.

12. მეურვეობა უნდა დაწესდეს მეურვეობაში მისაცემი პირის საცხოვრებელ ადგილას, ხოლო მისი ქონებისათვის, უკეთუ ეს ქონება სხვაგან მქვს,—ამ ქონების ადგილას.

13. როდესაც მეურვეობის დაწესება საჭიროა 10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ გარემოებას აცნობებს სამეურვეო დაწესებულებას ის თანამდებობის პირი და დაწესებულება, რომელსაც თავისი სასახურის გამო ასეთი შემთხვევა ეუწყება, და აგრეთვე მეურვეობაში მისაცემი პირის მახლობელი, და თვით ეს პირიც.

14. როდესაც მეურვეობის დაწესება საჭიროა 11 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ გარემოებას აცნობებს დაინტერესებული პირი და დაწესებულება იმ ადგილის სახალხო მოსამართლეს, სადაც ავადმყოფი ცხოვრობს.

15. ასეთი ცნობის მიღებისას სახალხო მოსა

მართლე მოქმედობს თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

შენიშვნა. სულით ავადმყოფთა შემოღება

მება მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცალკე ინსტრუქციით.

16. სულით ავადმყოფად ცნობილის მეურვედ ინიშნება ქმედობა-უნარიანი პირი, რომელიც ავადმყოფის სიკვდილის შემდეგ შეიძლება მისი მემკვიდრე იყოს.

17. მეურვეობის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა იქნეს გამოკრული იმ დაწესებულებაში, რომელიც მეურვეობას დაპნიშავს.

18. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში, განცხადების დაწესებულებაში გამოკვრის დღიდან, განასაჩივროს დადგენილება მეურვეობის დანიშვნის შესახებ, იმ ადგილის სასამართლოში, სადაც მეურვეობის დაპნიშვნილი დაწესებულებაა, ხოლო თუ მეურვეობა დაწესებულია სახალხო მოსამართლის მიერ—სახალხო მოსამართლეა საბჭოში.

19. მეურვეობა მოიხსობა, უკეთუ მისი დაწესების საფუძველი აღარ არსებობს.

20. მეურვეობა არა სრულწლოვანისა მოიხსობა, როგორც კი მას 18 წელი შეუსრულდება.

21. მეურვეობა სულით ავადმყოფისა მოიხსობა სახალხო მოსამართლის დადგენილებით, როდესაც ადგილობრივი განყოფილება აუწყებს სახალხო მოსამართლეს, რომ ეს პირი განკურნებულად ცნობილია.

თავი III.

მეურვის დანიშვნა და დათხოვნა.

22. მეურვე დანიშნულ უნდა იქნეს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც სათანადო დაწესებულება, რომელიც გამგებლობს მეურვეობას, შეიტყობს ასეთი დანიშვნის საჭიროებას.

შენიშვნა: ერთი და იგივე მეურვე შეიძლება დაენიშნოს როგორც ერთს, ისე რამდენსამე პირს; შესაძლებელია აგრეთვე თანამეურვის დანიშვნაც.

23. მეურვედ უნდა დანიშნოს სრულწლოვანი, რომელსაც აქვს ამ მოვალეობის ასრულების უნარი.

24. მეურვედ არ შეიძლება დანიშნოს:

- ა) ის, ვინც თვით იმყოფება მეურვეობაში,
- ბ) სასამართლოს წესით უფლება შეზღუდული,
- გ) ის, ვისი ინტერესიც ეწინააღმდეგება მეურვეობაში მყოფის ინტერესს და განსაკუთრებით ის, ვინც მისდამი მტრულად არის განწყობილი.

25. მეურვის დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცემა იმ პირს, ვისაც აირჩევს მეურვეობაში მისაცემი, (უკეთუ იგი სულით ავადმყოფი არ არის და მას 14 წელი შესრულებია), ან მისი დედა თუ მამა, ხოლო უკეთუ ასეთი პირი არ აღმოჩნდა—მეურვეობაში მისაცემი პირის მახლობელ ნათესავს ან მეუღლეს.

26. მეურვის დანიშვნის დროს იმ პირთაგან, რომელიც ნაჩვენებია 25 მუხლში, დაწესებულებამ,

რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს, მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც პირადი დამოკიდებულება დასანიშნი მეურვისა და მეურვეობაში მისაცემ პირს შორის, ისე საცხოვრებელი ადგილის სახალხოვე.

27. მეურვედ არჩეულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობება წერილობით მისი მეურვედ დანიშვნა. ამავე დროს ამის შესახებ უნდა გამოიკრას განცხადება იმ დაწესებულებაში, რომელიც მეურვეობას დაჭნიშნავს.

28. განსაჩივრება დადგენილებისა, ანა თუ იმ პირის მეურვედ დანიშვნის შესახებ სწარმოებს იმავე წესით და იმავე ვადაზე, რაც აღნიშნულია 18 მუხლში.

29. საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელიც დაინიშნება მეურვედ, ვალდებულია იკისროს მეურვეობა.

30. მეურვეობაზე უარის თქმა შეუძლიან:

ა) იმას, ვისაც 60 წელი შეუსრულდა;

ბ) იმას, ვინც ფიზიკური ნაკლის გამო გაჭირვებით თუ შესძლებდა მეურვის თანამდებობის აღსრულებას;

გ) იმას, ვინც ანხორციელებს მშობლიურ უფლებას ორისაზე მეტ შვილის მიმართ;

დ) იმას, ვინც ერთ მეურვეობას უკვე ეწევა.

31. უკეთუ არსებობს ერთ ერთი, 30 მუხლში აღნიშნული მიზეზი მეურვეობაზე უარის თქმისათვის, მეურვედ დანიშნულს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მას მეურვედ დანიშვნა ეცნობება, შეუძლიან განხორციელოს უარის თქმის უფლება, ხოლო, თუ უარი არ განაცხადა, ეს განუცხადებლობა თანხმობად ჩაითვლება.

32. უკეთუ განცხადებული უარი საფუძვლიანად იქნა ცნობილი, მეურვედ სხვა პირი უნდა იქნეს ამორჩეული, ხოლო ვიდრე ახლად დანიშნულ მეურვეს გადაეცემოდეს მეურვეობა, უარის განმაცხადებელი ვალდებულია შეასრულოს მეურვის მოვალეობა.

33. მეურვეობა მიღებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც არჩეული პირი მიიღებს უწყებას მისი მეურვედ დანიშვნის შესახებ.

34. მეურვის მოვალეობა მოისპობა მეურვეობის გაუქმებასთან ერთად, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია 24 მუხლით.

35. მეურვე შეიძლება გადაყენებულ იქნეს სათანადო სამეურვეო დაწესებულების დადგენილებით, უკეთუ აღმოჩნდება, რომ იგი დაუდგარია და ბოროტად იყენებს თავის უფლებებს, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა იმდენად არაკმაყოფილად ასრულებს მეურვის მოვალეობას, რომ მეურვეობაში მყოფი პირის ინტერესებს საფრთხე მოეღოს.

36. მეურვის დათხოვნა ერთ-ერთი იმ საფუძვლით, რაც აღნიშნული 35 მუხლში შეიძლება მოითხოვოს, როგორც თვით მეურვეობაში მყოფმა, აგრეთვე ყოველმა დაინტერესებულმა მესამე პირმაც.

37. მეურვის დათხოვნაზე დადგენილების გამოტანამდე სამეურვეო დაწესებულება მოვალეა გამო-

იძიოს საქმის გარემოება და გამოკითხოს მეურვე

38. უკეთუ მეურვეობის აღსრულებას დატოვოს აღიძვრის ისეთი გარემოება, რაც თანახმად 30 მუხლის „ა“ და „გ“ პუნტისა საფუძველი იქნება მეურვეობის თავიდან აცილებისათვის, მეურვეს შეუძლიან ითხოვოს მეურვეობიდან დათხოვნა 31 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

თავი IV.

ზრუნვა მეურვეობაში მყოფის ჰარჯებისათვის, მისი ქონების გაშეკება და სამეურვეო ორგანოების ზსუსხის შეკება.

39. მეურვეობაში მყოფის პირადი და ქონებრივი ინტერესის დაცვა დაეკისრება მეურვეობის განმხორციელებელ მეურვეს, რომელიც ითვლება მის წარმომადგენლად სასამართლოს წინაშე და სასამართლოს გარეშე.

40. არა სრულწლოვანის მეურვე ზრუნავს მეურვეობაში მყოფის პიროვნებისათვის, მისი აღზრდასათვის და იმისათვის, რომ იგი მომზადებულ იქნეს სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

41. მეურვე მოვალეა შეძლებისდაგვარად თავისთან იყოლიოს არა სრულწლოვანი მეურვეობაში მყოფი და, თუ ამას მოითხოვს უკანასკნელის ინტერესები, უფლება აქვს მოსთხოვოს მისი დაბრუნება ყველას, ვინც თავისთან ამყოფებს და მეურვეობას უწყევს არა-სრულწლოვანს არა კანონის ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

42. არა სრულწლოვანის აღსაზრდელად და სასწავლებლად მიბარება და აგრეთვე ამის შეუსრულებლობის მიზეზი მეურვემ უნდა აცნობოს სათანადო დაწესებულებას, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

43. 14 წლის ჰასაკ შესრულებულ მეურვეობაში მყოფი პირის თანხმობით, მისი პირადი დაქირავებისათვის ხელშეკრულების დასადებად, მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო სამეურვეო დაწესებულებსა.

44. სულით ავადმყოფობის მეურვე მოვალეა დაიცვას იგი და ხელი შეუწყოს მას ყველა პირად და ქონებრივ საქმეში და იზრუნოს მისი ჯანმრთელობისათვის.

45. უკეთუ საქიროა რომ სულით-ავადმყოფი მოთავსებულ იქნეს სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში, მეურვემ ეს უნდა განუცხადოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომელიც დაინიშნავს მკურნალთა კომისიას. ეს კომისია გადასწყვეტს საკითხს სულით-ავადმყოფის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების საჭიროების შესახებ.

46. მეურვე უნდა განაგებდეს მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას ისე, როგორც მზრუნველი მშრომელი პატრონი.

47. მეურვეს, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენლს, უფლება აქვს დასდოს ყველა ის გარკება, რომლის დადებაც შეეძლება და თვით მეურვეობაში მყოფს, რომ იგი ქმედობა-უნარიანი

ყოფილიყო, იმ შემთხვევის გარდა, რაც აღნიშნული 48—53 მუხლში.

48. მეურვეს არ შეუძლიან მეურვეობაში მყოფი წარმომადგენელი იყოს, უკეთეს გარიგება დასაღება, ან აღძრულია საჩივარი ერთის მხრით მის მეუღლისა მისი ერთ-ერთი აღმავალი ან შთამავალი შტოს წათესავსა დი მეორეს მხრით მეურვეობაში მყოფის შორის. სპეციალურად ამისათვის უნ. და დანიშნოს საგანგებო მეურვე-წარმომადგენელი

49. მეურვეს არ შეუძლიან გამოვიდეს ხელშეკრულების დამდებ მხარედ, ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც მის მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას შეეხება, და აგრეთვე შეიძინოს რაიმე მოთხოვნის უფლება მეურვეობაში მყოფის წინააღმდეგ.

50. იმ ვალის გადახდისათვის, რაც მეურვეობაში მყოფისა განგრგება თვით მეურვეს მისი მეურვედ დანიშნამდე დადებული ხელშეკრულებით, საქირაა ნებართვა სათანადო დაწესებულებისა, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

51. მეურვეს არ შეუძლიან მოახდინოს განსაჩუქრება, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელმა.

52. მეურვე ვალდებულია ყოველ წელიწადს არა უგვიანეს ივნისის 15-სა წარუდგინოს ხოლმე სამეურვეო დაწესებულებას წერილობითი ანგარიში მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებას იღებდა იგი მეურვეობაში მყოფი პიროვნების მზრუნველობისათვის.

53. მეურვეს არ შეუძლიან იკისროს პირგაუტყულობის ჯარიმის გადახდა მეურვეობაში მყოფ პირის სახელით.

54. მეურვეობაში მყოფი პირის შენობის ან სააღნაგო უფლების გასხვისებისა ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვისათვის მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო დაწესებულებისაგან, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

55. მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობისათვის სამეურვეო დაწესებულება დაუნიშნავს მეურვეს გასაჩუქლოს, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს:

- ა) მეურვეობაში მყოფი პირის ქონების წმინდა შემოსავალი,
- ბ) ის, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქონებრივად თვით მეურვე,
- და გ) რა შრომას ეწევა მეურვე სამეურვეო ქონების გამგებლობისათვის.

56. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვეობაში ყოფილს უფლება აქვს მოსთხოვოს მეურვეს ანაზღაურება ყველა იმ ზიანისა და ზარალისა, რაც მიყენებულია მეურვის არა კეთილ-სინდისიერი და დაუდევარი გამგებლობით.

57. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვე წარადგენს საერთო ანგარიშს.

58. მეურვის ყოველი მოქმედება ქონების გამგებლობისა და მეურვეობაში მყოფი პიროვნებისათვის ზრუნვის საქმეში — შეიძლება ყოველ დროს

იქნეს განსაჩივრებული სათანადო სამეურვეო დაწესებულებაში, როგორც თვით მეურვეობაში მყოფი პირისა, ისე მესამე დანტერესებული პირისაგან.

59. სამაზრო განყოფილების დადგენილება მეურვის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის გამო, უკეთეს ეს დადგენილება არა სრულწლოვანს შეეხება, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატში.

60. საჩივარი სამაზრო განყოფილების მოქმედებისა და დადგენილებაზე უნდა შეტანილ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატში, რომელმაც უნდა განიხილოს იგი არა უგვიანეს ორი კვირისა მისი შეტანის დღიდან.

61. უკეთეს სახალხო კომისარიატის მიერ განსაჩივრებული დადგენილება ძალაში იქნება დატოვებული, დანტერესებულ პირს უფლება აქვს დავა აღნიშნული დადგენილების გამო აღძრას სარჩელის საზოგადო წესით.

62. ამა თავში აღნიშნული წესები სათანადოთ შეფარდებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევისათვისაც, როდესაც მეურვეობა დანიშნულია რაიმე სხვა საფუძველზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდ. შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს მდივანი
აღ. სალარიძე.

1923 წ. ივნისი 16.
თბილისი — სასახლე.

დადგენილება № 103.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატის საბჭოსი. წყლისა და წყლის ენერჯიის სარგებლობისათვის სასყიდლის დაწესების გამო 1922 წ. აგვისტოს 31 თარიღითა და 46 №-ით გამოცემული დადგენილების მოქმედების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ წყლისა და წყლის ენერჯიის სარგებლობისათვის სასყიდლის დაწესების შესახებ — 1922 წ. აგვისტოს 31 თარიღით და 46 №-ით გამოცემული დადგენილების მოქმედება გაუქმებულ იქნეს სრულიად.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რეს. სახალხო კომისარიატის საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე ა. გიგეჭკორი.

სახალხო კომისარიატის საბჭოს მდივანი
აღ. სალარიძე.

1923 წ. ივნისის 29.
თბილისი — სასახლე

შინაგან საქმ. სახ. კომის.

ცირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეებს.

კომისარიატში მიღებული ცნობების მიხედვით სოფლებში გაჩნდა პირუტყვების სხვადასხვა გადამდები სენი.

ამავე დროს ირკვევა, რომ განცხადებამდე სოფლის მშრომელ ხალხს ეცლება ხელიდან რამდენიმე ათეული საქონლისა და ერთადერთ მიზეზად ამისა უნდა ჩაითვალოს ადგილობრივ სათემო აღმასკომების უყურადღებობა შინაურ პირუტყვების ჯანმრთელობაზე, რადგან, თუ თავის დროზედ ემცნო საქონლის დაავადების შესახებ ექიმ-ბეითალს რომლის მოვალეობასაც შეადგენს დაუყოვნებლივ მიღება სენების საწინააღმდეგო ზომებისა, აშკარაა საქონლის სიკვდილი არ მიიღებდა იმ ფართო ხასიათს, რომელსაც ეხლა ბევრგან აქვს ადგილი.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მკაცრი ზედამხედველობა იქონიოთ საქონლის ჯანმრთელობაზე და ყოველსაექვოდ დაავადების შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობონ ადგილობრივ ექიმ-ბეითლებს სათანადო და თავის დროზე ზომების მისაღებად.

შ. ს. ს. კომისარი ა. გეგეჭკორი.

საერთო განყ. გამგეს თან.

შ. ლეკვიაშვილი.

5 ივნ. 1923 წ.

ცირკულიარად

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

სარკინისგზო სატარიფო საკითხების გამო შეამდგომლბათა ადმინისტრაციის წესის შესახებ.

თანახმად ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დეკრეტისა, 7 აპრ. 1923 წ. რკინის გზათა სამმართველოსთან დაარსებული საუწყებთაშორისო სატარიფო სათათბირო.

სატარიფო სათათბირო დამოუკიდებლად სწყვეტს ყოველგვარ საკითხს ტარიფის დაწესების, შეცვლის და გაუქმების შესახებ; დამოუკიდებლად სწყვეტს აგრეთვე საკითხებს დამატებითი სატარიფო გადასახადის დაწესების და სატარიფო შეღავათის შესახებ—ამიერ-კავკასიის რკინის გზების ფარგლებში. სათათბირო აღძრავს აგრეთვე საკითხებს პირდაპირი მიმოსვლის ტარიფის გადასინჯვის შესახებ ს. ს. რ. კავშირის გზების ქსელზე.

გატყობინებთ რა ამას წინადადება გეძლევათ რათა ყოველგვარი სატარიფო შეამდგომლობა გზავნოთ უშუალოდ სატარიფო სათათბიროში და უთუოდ

წერილობით და დასაბუთებული ფორმით სატარიფო სათათბირო მოთავსებულია ამიერ-კავკასიის რკინის გზათა შინობაში (ტფილისი, სადკურის ქ. № 1).

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საინს.-საინფ. განყოფილების გამგე გ. ანდრიაძე.

9 ივნ. 1923 წ.

ცირკულიარად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს.

დამატებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 6 აპრილის № 8/86 ცირკულიარულ მომართვისა გაცნობებთ სახელმძღვანელოთ, რომ ამიერ კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის და კომისართა საბჭოს ა. წ. 1 ივნისის დადგენილებით (იხ. 3 ივნისის № 125 „ზარია ვოსტოკა“) საღერბო გადასახადის წესდების მესამე მუხლით გათვალისწინებული გადასახადი გადიდებულია შემდეგნაირათ: 10.000 მანეთის მაგიერ დადგენილია 40.000 მან., 20.000 მან.—60.000 მან., 100 000 მან.—300.000 მან. და 200.000 მან.—500.000 მან. რადგანაც მ. მ. ა. რ. ქვე-განყოფილება ყველა საბუთების გაცემაზედ ახდევინებდა 200.000 მან., ამისათვის წინადადებას გაძლევთ ყველა თხოვნა, შემოსული მ. მ. ა. რ. ქვე-განყოფილებაში სამეტრიკო მოწმობების და სააქტო წიგნებიდან ამონაწერის გაცემის შესახებ, დაბევროთ 500.000 მანეთით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

სამოქალაქო მდგომარეობის განყოფილების გამგე ა. ცინცაძე.

11 ივნ. 1923 წ.

ცირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს.

თანახმად ამიერ კავკასიის საფინანსო კომისარიატის მიერ გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში № 126 გამოქვეყნებულ ინსტრუქციისა საკანცელარიო გადასახადის შესახებ, (პარაგრაფი 3) იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ ამონაწერის, მოწმობების და ცნობების დამზადება და გაცემა დაკისრებული აქვს დაწესებულებას განსაკუთრებული კანონმდებლობითი წესით და შეადგენს მის სპეციალურ მოვალეობას (მაგალითად სამოქალაქო მდგომარეობათა აქტების შესახებ ამონაწერი, სამისამართო მაგიდის

მიერ ცნობების გაცემა) ყველა ამდა-გვარი დოკუმენტი განთავისუფლებულია საკანცელარიო გადასახადისაგან.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება თქვენდამი რწმუნებულ მაზრას ყველა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერ ქვე-განყოფილებათა გამგეების მიმართ, რათა აღნიშნული წესი საკანცელარიო გადასახადის შესახებ სისწორით იქნას დაცული, ესე იგი, ყოველ-გვარ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის და ამონაწერის გაცემის დროს, არ იქნას გადახდები-ნებული საკანცელარიო ბაჟი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

სამოქალაქო მდგომარეობის გან-ყოფილების გამგე ა. ცინცაძე.

12 ივნ. 1923 წ.

შიკამეთა

ყველა მაზრის, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარეთ.

მოხსენებათა და ოქმების წარმოდგენის შესახებ.

თანხმად დებულებისა და შ. ს. ს. კომისარიატის ცირკულიარებისა, ყველა მაზრის აღმასკომი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ წარმოადგინოს შ. ს. ს. კომისარიატში მოკლე, ამოწურული მოხსენება შედგენილი იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული იყო შ. ს. ს. კ. ჟურნალ „შინაგანის“ 37 ნომერში (გვ. 11). ამასთანავე აღმასკომები ვალდებული არიან წარმოადგინონ დროულად აღმასკომის პრეზიდიუმის, პლენუმის და ყრილობათა ოქმები. უკვე მესამე წელიწადია, რაც ასეთი პრაქტიკა არსებობს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შ. ს. ს. კ-ტის მიერ რამოდენიმეჯერ დაგზავნილი იყო ცირკულიარი და განმარტება ოქმებისა და მოხსენების წარმოდგენის წესის შესახებ, ყველა აღმასკომი არ ასრულებს დავალებას და რეგულიარულად არ გზავნის შემოჩამოთვლილ მასალებს. მოხსენებას გზავნის ხან ერთი თვის, ხან კი 6—7 თვის მოქმედების შესახებ, ერთი სიტყვით იმის მიხედვით, თუ როდის ეხერხება მას. ოქმებს 3—4 თვის განმავლობაში სრულიად არ გზავნის, შემდეგ კი რამოდენიმე თვისას გზავნის ერთად. თვით ოქმებში ხშირად არ არის გარკვევით აღნიშნული თუ რა საკითხი იქნა განხილული და დადგენილება რის მიხედვით იქნა გამოტანილი, ე. ი. არ არის ამოწურული ცნობა საკითხის გადაწყვეტის შესახებ. გარდა ამისა კომისარიატს მოსდის ხშირად სრულიად გაურჩევლად დაბეჭდილი ასლები (ხშირად მეოთხე-მეხუთე ცალი ასლითა), რის გამოც მათი წაკითხვა შეუძლებელია.

მოგაგონებთ, რომ ამგვარი გარემოებანი ხელს უშლიან კომისარიატს მაზრებისადმი მეთვალყურე-

ობის წარმოებაში და აბრკოლებენ ცენტრალური მთავრობისათვის საჭირო მასალის წარდგენას. იმეტირებთ წინადადებას გაძღვეთ თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ სასწრაფოდ მოახდინოთ განკარგულება რათა:

- 1) მოხსენებები აუცილებლად იგზავნებოდეს ყოველ სამ თვეში რეგულიარულად და შედგენილი იქმენ შ. ს. ს. კ-ტის ინსტრუქციის მიხედვით.
 - 2) ოქმები იგზავნებოდეს დაუყოვნებლივ, შედგენისთანავე და არა რამოდენიმე თვის ერთად. ოქმში გარკვეულად უნდა იქმნეს აღნიშნული განხილული საკითხი და დადგენილება იქმნეს მოყვანილი დასაბუთებული ფორმით.
 - 3) ოქმებთან ერთად უნდა იგზავნებოდეს ასლი იმ სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც აღმასკომის მიერ იქნა გამოცემული.
 - 4) გადმოიგზავნოს ისეთი ცალი მოხსენებათა და ოქმებისა, რომლის გადაკითხვა შესაძლებელია.
- შინაგან საქ. სახ. კომისარი—ა. გეგეჭკორი.
საინსტ. საინფორ. განყ. გამგე—გ. ანდრიაძე.

შიკამეთა

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომების თავმჯდომარეთ, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ერთეულების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარებს.

ამა წლის 31 მაისის თარიღით № 1888/314 დეკრეტით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ცირკულიარულად გაცნობათ თქვენ, რომ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 92 სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ამონაწერზე გადასახადის დაწესების შესახებ დროებით შეჩერებულია.

ხსენებულ ცირკულიარულ დეკრეტის მიღებისთანავე საჭირო იყო გაგეცათ სათანადო განკარგულება თქვენდამი დაქვემდებარებულ აღმასკომების მიმართ ამ გადასახადის შეჩერების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ № 92 დადგენილება შეჩერებულია 31 მაისის განკარგულებით, როგორც ეს ზევით არის ნათქვამი, კომისარიატი მაინც დებულობს მრავალ შეკითხვებს ადგილობრივ საზოგადოებას და სათემო ხელისუფლებისგან, თუ რა წესით იქნას ჩატარებული გადასახადი, და ეს შეკითხვები კი გამოგზავნილია ადგილებიდან ამა ივნისის შუა რატხვების შემდეგ. ცხადია კომისარიატის განკარგულება გადასახადის შეჩერების შესახებ ან არ მივიღიათ და ან მიიღეთ, მაგრამ არ გადაგიდგამთ სათანადო ნაბიჯი.

გაცნობებთ, რა ამას, გთხოვთ სასწრაფოდ მიიღოთ თქვენგან დამოკიდებული ზომები და

აუწყოთ კომისარიატს საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

სამოქ. მდგომარეობის განყოფილების გამგე—ა. ცინცაძე.

საქმის-მწარმოებელი—ს. მესარქიშვილი.

22 ივნ. 1923 წ.

სირკულირულად.

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარეთ.

როგორც იუსტიციის სახალხო კომისარიატის ა/წ 18 ივნისის მომართვიდან ირკვევა, ზოგიერთ მაზრაში აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადგილობრივი აღმასკომი და მილიციის ორგანოები ერთიან სასამართლო საქმეებში და თავისი უკანონო დადგენილებებით სცემენ სასამართლოს პრესტიჟს ადგილობრივ მცხოვრებთა შორის და არღვევენ მართლმსაჯულების საქმიანობის ნორმალურ მსვლელობას. ჩვენ მიერ არა ერთხელ იყო გაცემული განკარგულება, რომ აღმასკომები არ ჩარეოდნენ სასამართლოს საქმეებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთ ჩარევას დღემდისაც აქვს ადგილი. იუსტიციის კომისარიატიდან მოსული ცნობებით, მაზრებში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც აღმასკომი და მილიცია აუქმებს სასამართლოს დადგენილებას, ან თვით გამოაქვს ამა თუ იმ საქმეზე თავისი განაჩენი.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ შეიკავოთ თავი სასამართლოს საქმეებში ჩარევისაგან და მტკიცედ დაიცვათ კანონიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაძნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გვგეჭკორი.

საინს.-საინფ. განყოფილების გამგე გ. ანდრიაძე.

29 ივნ. 1923 წ.

სირკულირულად.

ყველა მაზრა-ქალაქის მილიციის უფროსებს.

ა/წ. 23 თებერვლის № 305/44 ცირკულიარული განკარგულებით თქვენ წინადადება მოგეცათ შეგეძინათ თქვენდამი რწმუნებულ მილიციის საპროკურორისათვის ცხენები რეკვიზიციის სახით და იმპირობით, რომ თითო ცხენზე მიგეცათ 20.000.000 მანეთამდე, რა მიზნისთვისაც მოგეცათ საპროკურორის თანხა.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ნება დართული გქონდათ შეგეძინათ ცხენები რეკვიზიციის ძა-

ლით, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში გამოადაც შემოდის კომისარიატში განცხადებები იმის შესახებ, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს მილიცია დღესაც ართმევს ცხენებს რეკვიზიციის ძალით, ამიტომ ამ ცირკულიარის მიღებისთანავე წინადადება გაძლევთ შესწავილოთ რეკვიზიციით ცხენების ჩამორთმევა, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისგებაში იქნებით მიცემულნი.

შინ. საქ. სახ. კომისარი ა. გვგეჭკორი.

სამილ. განყ. უფროსი ი. თაზიშვილი.

10 ივლისი, 1923 წ.

სირკულირულად.

პატიმართა განცხადებების და საჩივრების დაგზავნის შესახებ.

როგორც სჩანს სამმართველოში მიღებულ პატიმართა განცხადებებიდან, ასეთები თვეობით იგვიანებენ და არ იგზავნიებიან თავის დროზედ კუთვნილებისამებრ.

ვინაიდან ასეთი მოვლენა დაუშვებელია და დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე არ შეეფერებებიან იმ კანონიერების პრინციპებს და აღამიანის პიროვნებებისადმი პატივისცემას, რომლითაც გამსჭვალული უნდა იყოს აღინისტრაციის და ზედამხედველთა დამოკიდებულება პატიმრებისადმი, საპატიმრო ადგილების სამმართველო წინადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოთ შემდეგი:

1. ყოველდღიურად უნდა დაათვალიეროთ საკნები—დაჰკითხოთ პირადან რაც შეიძლება მეტი რიცხვი პატიმრებისა, თანამშრომელთა თანადასწრებით (პატიმართა თხოვნით განცალკავებულადაც), და გასინჯოთ ადგილობრივად სიმართლედ განცხადებისა.

2. პატიმართა განცხადებათა და საჩივართა შესახებ უნდა შემოიღოთ შემდეგი წესი:

ა) პატიმართაგან შემოსული ყველა განცხადება და საჩივარი უნდა ჩაიწეროს იმავე დღეს ამისათვის შემოღებულ განსაკუთრებულ წიგნში, სადაც უნდა აღინიშნოს, გვარი და სახელი პატიმარისა, სახელწოდება იმ პირის ან დაწესებულების, ვისაც ეგზავნება განცხადება, განცხადების შინაარსი და შემოტანის დრო, რიგითი ნომერი, დრო გაგზავნისა და გასული ნომერი.

ბ) განცხადებები და საჩივრები უნდა იგზავნებოდეს სათანადო ცნობებით კუთვნილებისამებრ სამი დღის განმავლობაში დღიდან მათი მიღებისა.

გ) პატიმართა განცხადებისა, ან საჩივარის შემოტანის შესახებ, ეძლევა, უკეთუ მოითხოვენ, ხელმოწერილი წერილობითი ცნობა ასეთის მიღების და კუთვნილებისამებრ გაგზავნის შესახებ.

დ) ასეთივე ცნობა ეძლევა პატიმართა ნათესავებს.

ე) ასეთ ღონისძიებათა გარდა, შეიძლება და



უნდა იყოს მიღებული სხვებიც, რომლებიც მიზან-
შეწონილი იქნება, რაზედაც უნდა ეცნობოს სამ-
მართველოს.

3. ის პირი, რომელიც ამ ცირკულიარულ გან-
კარგულებას დაარღვევს დათხოვნილი იქნება თა-
ნამდებობიდან პასუხის გებაში მიცემით, არამც თუ
პატიმართა უფლებების შევიწროებისათვის, არამედ
დაუდევრობის და უყურადღებობისათვის.

საპატიმრო ადგილების სამმართველოს
უფროსი ბ. კაკაბაძე.

ინსტრუქტორ-კონტროლიორი უუფარაძე.

11 ივლისი 1923 წ.

ციკულიარულად.

ყველა გამასწორებელი სახლის უფროსებს, სა-
ხელოსნოებში პატიმართა მუშაობის შესახებ.

საპატიმრო ადგილების სამმართველოს მიერ
მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი გა-
მასწორებელი სახლის უფროსი არ აკმაყოფილებს
გამსახლის სახელოსნოების გამგის მოთხოვნილებას
საქირო მუშა-პატიმართა სახელოსნოებში გაყვანის
შესახებ. გაცნობებთ რა ზემო აღნიშნულს კატეგო-
რიულ წინადადებას გაქლევთ, მიიღოთ სასწრაფო
და ენერგიული ზომები, რათა საქიროების და მი-
ხედვით დაშვებულ იქნან გამსახლის სახელოსნოებ-
ში, პატიმართა საკმაო რიცხვი.

ამასთანავე დავსძენ, რომ ამა ცირკულიარის
შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პირი დაუყო-
ნებლივ გადაყენებულ იქნება თანამდებობიდან პა-
სუხის გებაში მიცემით, როგორც არა თავდარიგანი
მუშა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საპატიმრო ადგილების სამმართველოს
უფროსი ბ. კაკაბაძე.

ინსტრუქტორ-კონტროლიორი ს. უუფარასე.

12 ივლისი, 1923 წ.

ციკულიარულად.

ყველა მაზრის, ქალაქის და ავტონომიურ ერთე-
ულთა აღმასკომებს.

გლეხების საურთიერთო დამხმარე კომიტეტის შესახებ.

როგორც ს. ს. ს. რესპუბლიკის სოციალურ
უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი იუწყება
27 ივნისის თარიღით № 823, ა. წ. 1-ლი ივლი-
სიდან ის შეუდგება მთელ საქართველოში საზო-
გადოებრივი საურთიერთო დახმარების გლეხთა კო-
მიტეტების მოწყობის კამპანიას. ვინაიდან ზემოაღ-
ნიშნული კამპანიის მოწყობას დიდი მნიშვნელო-
ბა აქვს მშრომელი გლეხობისათვის, ამისათვის წი-
ნადადება გეძლევათ: დაავალოთ თქვენდამი რწმუ-

ნებულ ყველა ადგილობრივ დაწესებულებას და
კერძო პირს, მიიღონ მხურვალე და ექტურა
ნაწილეობა კამპანიის ჩატარებაში და აარჩიონ თა-
ვისი წარმომადგენლები სამაზრო კომისიებში. სა-
მაზრო კომისიები ეწყობა სოციალურ უზრუნველ-
ყოფის სახალხო კომისარიატის მაზრის რწმუნე-
ბულთან.

ინსტრუქცია და სხვა მასალები კამპანიის გატა-
რების შესახებ გამოქვეყნდება და გამოგზავნილ
იქნება ადგილობრივ სოციალურ უზრუნველყოფის
სახალხო კომისარიატის მიერ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.

ციკულიარულად.

ყველა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეთ.

გიგზავნით რა ამასთან ერთად ცირკულიარს
საქართველოს კომუნალურ მეურნეობის განყოფი-
ლების მე-2 ყრილობის მოწვევის შესახებ, და მო-
ხსენების წარმოსადგენათ თეზისებს, გაცნობებთ
რომ ყრილობაზე ჩამოსვლასთან დაკავშირებულ
ხარჯებით დედეგატები უნდა დაკმაყოფილებულ
იქნან სათანადო მაზრის აღმასკომის მიერ, ამას-
თანავე გაცნობებთ, რომ საცხოვრებელი ბინა დე-
დეგატებს დაეთმობათ შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარიატის მიერ ფასით.

შინ. საქ. სახ. კომ. მოადგილე ტალახაძე.
კომუნალურ განყ. გამგე ნანეიშვილი.

მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეთ.

(კომუნალურ მეურნეობის განყოფილებისათვის)

სრ. საქართველოს კომ. მეურნ. განყ. გამგეთა მე-2-ე
ყრილობისათვის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებათა
1922/23 წწ. მუშაობის ანგარიშის წარმოდგენის შესახებ.

ა/წ. ენკენისთვის 25-ს დანიშნულია საქარ-
თველოს კომუნალურ მეურნეობის განყოფილების
გამგეთა მე-2-ე ყრილობა, რის გამო შინაგან საქ-
მეთა სახალხო კომისარიატი გავალბებ წარმომადგი-
ნოთ კომუნალურ მეურნეობის განყოფილების
1922/1923 წწ. მუშაობის ანგარიში. ეს ანგარიში
შედგენილ უნდა იქნეს თანახმად უკვე გადმოგზავნილ
კითხვებთან შეფარდებით და უნდა წარმოადგენდეს
მთლიან აღწერას (მოხსენების სახით) კომუნალურ მეუ-
რნეობის მდგომარეობის და განვითარებისა. მიღებულ
ზომების და მის მუშაობაში შეხვედრილ დაბრკო-
ლებებისა და სხვ. საქიროა, რომ ამ ანგარისში
მომეტებელი ნაწილი ეჭიროს ფაქტიურ მასალებს
და ციფრებით დასახელებას. გადაგზავნილი კი-
თხვები სამავალითო ხასიათისაა და იმ შემთხვე-
ვაში თუ კომუნალურ მეურნეობის მუშაობის ოდე-



ნობა და ხასიათი მოითხოვს, შესაძლოა ნაწილობრივ მისი შეცვლა და დამატება.

კომუნალურ მეურნეობის ანგარიში უნდა დაყოფილ იყოს დარგებათ და ყოველ დარგს ცალკე სათაური უნდა ჰქონდეს, სახელდობ: 1. საორგანიზაციო საკითხები, 2. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების ფინანსური მდგომარეობა, 3. კომუნალური წარმოებანი, 4. საბინაო საკითხი, 5. ქალაქთა ამშენებლობა და კეთილმოწყობა, 6. მიწათ-მოწყობა ქალაქებში, 7. საგზაო საქმე და ადგილობრივი ტრანსპორტი და 8. ცეცხლის საწინააღმდეგო საქმე.

კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგენი მოვალენი არიან დაესწრონ მე-2-ე ყრილობას და მოხსენება გააკეთონ კომუნალურ განყოფილების 1922/1923 წწ. მოქმედების შესახებ ზემოაღნიშნული გეგმით; ხოლო ასლი აღნიშნულ მოხსენებისა წინასწარ გამოგზავნილი უნდა იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს მემდინარე წლის 30 აგვისტოსა.

დანართი: ყრილობის დღის წესრიგი.
შინ. საქ. სახ. კომ. მოადგილე **ტალახაძე**.
კომ. მეურნ. განყოფ. გამგე **ნანეიშვილი**.

სრულად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებათა გამგეების მე-2. ყრილობის დღის წესრიგი.

1. მოხსენება შინ. საქ. სახ. კომ. კომუნ. მეურნ. განყოფილების 1922/23. წლ. მუშაობის შესახებ;
2. " " ადგილებიდან;
3. " " საბინაო პოლტიკის და ბინების ამშენებლობის შესახებ;
4. " " ამშენებლობითი საქმის ორგანიზაციის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. დასახლებულ ადგილების დაგეგმვის შესახებ;
5. " " ადგილობრივ მნიშვნელობის გზებისა და ტრანსპორტის შესახებ;
6. " " ადგილობრივ ხასიათის საერთო და კერძო სარგებლობის წარმოებათა შესახებ;
7. " " ადგილობრივ გადასახადებზე და ფინანსების შესახებ;
8. " " ქალაქებში მიწათ-მოწყობის შესახებ;
9. " " საქართველოში ცეცხლისაგან დაცვის საქმის მდგომარეობის შესახებ;
10. " " კომუნალურ მეურნეობის განყოფ. ორგანოთა და კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირის შორის ურთიერთობის შესახებ;
11. " " კომუნალურ მეურნეობის საორგანიზაციო სტრუქტურის შესახებ;
12. " " მიმდინარე საკითხები.

ინსტრუქცია

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა ვინაობის წიგნაკების გაცემის, მიღების და ხმარების წესის შესახებ.

1. თანახმად ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა № 83 (1933 წ. 10 მარტი) შემოღებულ უნდა იქნეს დღემდე არსებული მოწმობების, ძველი პასპორტების და სხვა ვინაობის დამატკიცებელი დოკუმენტების ნაცვლად ვინაობის წიგნაკი.

2. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ დამტკიცებული ვინაობის წიგნაკი არის პირადობის შემამოწმებელი და საცხოვრებელი საბუთი.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ვინაობის წიგნაკი უნდა იქონიოს ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ და აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების იმ მოქალაქეებმა, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და დაკავშირებული არიან მასთან სამსახურით, ქონებით, ოჯახობით, სასწავლებლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

4. ვინაობის წიგნაკი სავალდებულოა სრულწლოვან მოქალაქისათვის განურჩევლად სქესისა.

შენიშვნა 1: ცალკე ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება არა სრულწლოვანთათვისაც 14—18 წლამდე, მხოლოდ ამ შემთხვევაში საქირთა მათი მშობლების, ან უკანასკნელთა მოადგილე პირების წერილობითი თანხმობა.

შენიშვნა 2: სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებს ვინაობის წიგნაკის მაგიერ შეუძლიათ იქონიონ სასწავლებლიდან მიღებული პირადობის მოწმობა, რომელშიც უნდა იყვეს აღნიშნული ვინაობის წიგნაკის ყველა ცნობა.

5. ერთ ვინაობის წიგნაკში შეიძლება ჩაწერილი იყვეს ქმარი, ცოლი, წიგნაკის პატრონის ოჯახის არა სრულწლოვანი წევრები და ის მშობლები, რომლებიც წიგნაკის პატრონთან სცხოვრობენ.

6. ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ვალდებულია თავის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების დროს, თან იქონიოს ვინაობის წიგნაკი.

7. მუდმივ საცხოვრებელ ადგილათ ჩაითვლება მაზრა, ან მაზრიდან გამოყოფილი ქალაქი, რომელთანაც მოქალაქე დაკავშირებულია ქონებით, სამსახურით, ოჯახით, სასწავლებლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

8. ვინაობის წიგნაკი არ მიეცემა: ა) მობილიზაციის წესით ჯარში გაწვეულს, ბ) წითელ არმიელს, ვიდრე არ იქნება განთავისუფლებული სამსახურიდან და ან არ მოიხდის სამხედრო ბეგარას, გ) სასამართლოს მიერ სასჯელ-დადებულ პირს, სანამ სასჯელს არ მოიხდის, ან არ ემატიება მას სასჯელი, დ) იმ პირს, რომელიც ემალება საბჭოთა მთავრობას ან მის ორგანოებს და ე) იმ პირს, რომელიც კარგავს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეობას.

9. ვინაობის წიგნაკი არის ვადიანი და უვადო.

10. უვადო წიგნაკი ეძლევა იმ მოქალაქეს, რომელსაც მოხდელი აქვს სამხედრო ბეგარა, ან განთავისუფლებულია მისგან.

11. ვინაობის წიგნაკის გამოცვლა და ახლის მიღება შეიძლება მხოლოდ მაშინ: ა) როდესაც ვადიანი ვინაობის წიგნაკის მაგიერ მოქალაქეს უნდა მიეცეს უვადო, ბ) როდესაც პატრონი ვინაობის წიგნაკს დაჰკარგავს და ამ გარემოებას დაადასტურებს ოფიციალური პირის ან დაწესებულების წერილობითი განცხადებით და ვინაობის წიგნაკის დაკარგვა მან გამოაქვეყნა მთავრობის ოფიციალურ ორგანოში, გ) როდესაც წიგნაკი იმდენად დაძველდება, რომ მისი ხმარება შეუძლებელი გახდება, დ) როდესაც მოქალაქე ერთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილიდან, მეორე მუდმივ საცხოვრებელ ადგილას გადასახლდება.

12. ვინაობის წიგნაკის მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს სათანადო ორგანოში ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: ა) მეტრიკული მოწმობა ან მეტრიკული ამონაწერი, ბ) სახელმწიფო, ან პარტიული, ან საზოგადო დაწესებულების მიერ მიცემული მოწმობა, ან მანდატი, ან სხვა საბუთი, რომელიც დაადასტურებს მოქალაქის ვინაობას, გ) თუ მოქალაქეს ზემო აღნიშნული საბუთები არ ექნება, წიგნაკის გამცემ ორგანოს წიგნაკის გაცემა შეუძლია, თუ მისი ხელმძღვანელი ან პასუხისმგებელი თანამშრომელი დაადასტურებს მოქალაქის ვინაობას.

13. ვინაობის წიგნაკის გამცემა ორგანომ წიგნაკების სარეგისტრაციოთ უნდა შემოიღოს საგანგებო ვინაობის დავთარი და შიგ გარკვევით და დაწვრილებით აღნიშნოს: ა) ვის მიეცა წიგნაკი, ბ) უვადო თუ ვადიანი და რა ვადით, გ) წიგნაკის ნომერი, დ) საბუთი, რომლის ძალითაც გაიცა წიგნაკი. ვინაობის წიგნაკის გამცემა წიგნაკის მიმღებს უნდა მოაწერინოს ხელი დავთარში.

14. ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება მხოლოდ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

ვინაობის წიგნაკის გაცემა დაკისრებული აქვს ქალაქების და მაზრების აღმასკომების სამმართველოს განყოფილებებს, თემის აღმასკომებს, და ამის გარდა ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და ფოთში მილიციის უფროსებსაც.

თავიანთი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ვინაობის წიგნაკის გაცემა შეუძლია სახალხო კომისარიატებსაც.

შენიშვნა 1: ქალ. თფილისის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებს ვინაობის წიგნაკის მიღება შეუძლიათ თავიანთი ადგილკომების საშუალებით, ადგილკომის მიერ აღმასკომის სამმართველოში ან და მილიციის უფროსთან წარდგენილი ცნობების სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც ადგილკომს, ისე სათანადო დაწესებულების აღმინისტრაციას.

შენიშვნა 2: წითელ-არმიის საკომანდო-შემადგენლობას და საკომანდო-შემადგენლობის პირთა და წითელ-არმიელთა ოჯახის წევრებს ვინაობის წიგნაკების მიღება სამმართველოს განყოფილებიდან ან მილიციის უფროსისაგან, შეუძლიათ ქალაქის კომენდატურის საშუალებით.

15. ვინაობის წიგნაკის გაცემის დროს, მის მიმღებს უნდა გადახდეს წიგნაკის ფასი.

16. ვინაობის წიგნაკის შემოღების გამო ძალას ჰკარგავს ყოველგვარი პასპორტი და პირადობის დამამტკიცებელი სხვა საბუთი; ხოლო სახელმწიფო, საზოგადო და პარტიული ორგანიზაციების მოწმობები და მანდატები საცხოვრებელ საბუთად არ გამოდგებიან.

17. ის თანამდებობის პირი, რომელიც უკანონოთ გასცემს ვინაობის წიგნაკს, დაისჯება საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

18. ის მოქალაქე, რომელიც ისარგებლებს სხვისი ვინაობის წიგნაკით, ან ჩაიდენს სიყალბეს ვინაობის წიგნაკის მიღების, ან დამზადების მიზნით, დაისჯება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 87, და 228-მუხ. მიხედვით.

შიანგან საქმეთა სახ. კომისარია ა. გეგეჭკორი.

ინსტრუქცია

შიანგან საქმეთა სახალხო კომისარია

ბეჭდების დამზადების, ხმარების, შენახვისა და მოსხობის შესახებ.

გამოცემულია სრულად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წელ. 10 აპრილის და 35 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის შესასრულებლად.

1. სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი უნდა დაისვას საბუთზე, მისი სინამდვილის დასამოწმებლად.

2. ამა თუ იმ დაწესებულებისათვის და თანამდებობის პირთათვის მიჩნეული სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი შეიძლება არსებობდეს მარტო ერთ ცალად და უნდა ინახებოდეს დაწესებულების მეთაურთან ან იმ პირთან, რომელსაც იგი ამას მიანდობს ორივე შემთხვევაში ბეჭედის შენახვისათვის პასუხისმგებელია დაწესებულების მეთაური.

3. როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი საჭირო აღარ იქნება მისი გაფუჭების, გამოცვლის, ან ახალზე შეცვლის მიზეზით, ან დაწესებულების გაუქმების გამო, იგი უნდა მოისპოს დაწესებულების მეთაურის თანადასწრებით, რის შესახებაც უნდა შესდგეს სათანადო აქტი, რომლის ასლი გაეგზავნება ადგილობრივი აღმასკომის სამმართველობის განყოფილებას.

4. როდესაც საჭიროა ღერბიანი ბეჭედის შეკვეთა, დაწესებულებამ, რომელსაც მინიჭებული

აქვს ასეთი ბეჭდის ხმარების უფლება, უნდა მიიღოს ამის ნებართვა სათანადო ადგილობრივი აღმასკომის მართველობის განყოფილებიდან.

უკეთეს ბეჭედი დამზადებული უნდა იყვეს სხვა მაზრაში, ან სხვა ქალაქში, დაწესებულებამ იმის შემდეგ, როცა მიიღებს ნებართვას ადგილობრივი აღმასკომის მართველობის განყოფილებიდან თავის ბინადრობის მიხედვით, უნდა მიიღოს ნებართვა იმ აღმასკომის მართველობის განყოფილებიდან, რომელსაც ექვემდებარება ის ადგილი, სადაც ბეჭედი უნდა იყვეს დამზადებული.

5. მართველობის განყოფილებანი ნებართვის მიცემის დროს ვალდებული არიან შეამოწმონ, აქვს თუ არა დაწესებულებას, რომელიც ნებართვას ითხოვს, ღერბიანი ბეჭდის ხმარების უფლება ს. ც. ა. კ. 1923 წ. 10 აპრილის № 35 დადგენილების ძალით და ქვევით მოყვანილი სიის მიხედვით, აგრეთვე ყურადღება უნდა მიაქციონ იმას რომ შუამდგომლობა ნებართვის მიცემის შესახებ ხელმოწერილი იყოს იმ პირთა მიერ, რომელნიც დასახელებული არიან ს. ც. ა. კ. ზემო აღნიშნულ დადგენილების მე-13 მუხლში.

6. ბეჭდების დამზადებისათვის გაცემული ყველა ნებართვა უნდა ჩაიწეროს ცალკე წიგნში, სადაც უნდა აღინიშნოს შუამდგომლობა ნებართვის მიცემის შესახებ. თვით შუამდგომლობანი ინახებიან ცალკე საქეში, სადაც დართული უნდა იქნეს აგრეთვე ბეჭდების მოსპობის აქტების ასლები.

7. ნებართვის ქალაქი ბეჭდის შეცვლის შესახებ უნდა გაეგზავნოს სათანადო დაწესებულებას საგანგებო შიკრიკის ხელით, ან საიდუმლო პაკეტით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ნებართვის ქალაქი ეძლევა პირადად დაწესებულების წარმომადგენელს, უკანასკნელმა, თუ მას არ იცნობს ნებართვის გამცემი ორგანო, უნდა წარმოადგინოს სათანადო მოწმობა იმის დასამტკიცებლად, რომ მას მინდობილი აქვს ასეთი ქალაქის მიღება.

8. სახარატო — (საგრაფიორო) სახელოსნოებს შეუძლიათ დაამზადონ ღერბიანი ბეჭედი მხოლოდ აღმასრულებელი კომიტეტის მართველობის განყოფილებას ნებართვით. არავითარი სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის ნებართვით ბეჭდების დამზადება არ შეიძლება. ყველა მიღებული ან შესრულებული შეკვეთა ბეჭდებისა სახელოსნოებში უნდა ჩასწერონ ცალკე დავთარში, რომელიც უნდა იყვეს ზონარ გაყრილი და დაბეჭდილი და შემოწმებული ადგილობრივი მართველობის განყოფილების მიერ. დაკთარშივე უნდა ჩაერთოს ყველა გასამართლებელი საბუთი და აგრეთვე ხელწერილები დამზადებული ბეჭდების შესახებ.

ყველა სახარატო (საგრაფიორო) სახელოსნო ვალდებული არის ბეჭდის გაცემისთანავე წარმოუდგინოს ადგილობრივი მართველობის განყოფილებას ზემო აღნიშნული ბეჭდების ანაბეჭდები სამ ცალად, შემკვეთი პირის სახელის, გვარის, თანამდებობის და აგრეთვე ბეჭდის მიმღების პირის ასეთივე ცნობების აღნიშვნით.

9. ყველა სახარატო (საგრაფიორო) სახელოსნო, მათ შორის სამხედრო სახელოსნოებიც ვალდებული არიან ადგილობრივ მართველობის განყოფილებას ყოველთვიურად წარუდგინონ შესამოწმებლად და გაცემულ ნებართვებთან შესადარებლად, ანგარიში მათ მიერ დამზადებული სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდების შესახებ.

10. ადგილობრივი მართველობის განყოფილებანი ვალდებული არიან იქონიონ სასტიკი მეთვალყურეობა სახარატო სახელოსნოებზე ბეჭდების დამზადების საქმეში და სათანადო ნებართვის გარეშე სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის შეკვეთის მიღებისა და ასრულებისათვის მისცენ სახელოსნოების მეპატრონეები პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 231 მუხლის ძალით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

ა. გეგეჭკორი.

საერთო განყოფილების გამგე ა. ჩიქოვანი.

ს ი ა

იმ დაწესებულებათა, რომელთაც აქვთ უფლება სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარებისა.

1.

1. სრულიად საქართვე. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

2. შიმშილობის შედეგთა წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრ. კომიტეტი.

2.

1. სახალხო კომისარიატის საბჭო.

2. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

3. ს. ს. ს. რ. შავი ქვის მრეწველობის საგანგებო სამმართველო.

3.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უწყება.

1. შინ. საქ. სახ. კომისარიატი.

2. შ. ს. ს. კ. სამოქალაქო მდგომარეობის განყოფილება.

3. შ. ს. ს. კ. საფინანსო-სამწეო განყოფილება.

4. შ. ს. ს. კ. საპატიმრო ადგილების განყოფილება

5. სამაზრო და ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი.

6. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების მმართველობის განყოფილებანი.

7. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განაღ.

8. თემთა აღმასკომები.



- 9. სამაზრო, ქალაქის და სარაიონო მილიციის სამმართველოები.
- 10. სისხლის სამართლის მძებარი მილიციის სამმართველოები.
- 11. საპატიმრო ადგილები.
- 12. ზემო-აეჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური.

4.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყება.

- 1. იუსტიციის სახალხო კომისარიატი.
- 2. იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი.
- 3. სახალხო მოსამართლეთა საბჭო.
- 4. სახალხო სასამართლოები.
- 5. სახალხო გამომძიებლები.
- 6. სასამართლო აღმასრულებლები.
- 7. სახალხო ნოტარიუსები, (უფროსები და უმცროსები).
- 8. უზენაესი რეგტრიბუნალი.
- 9. დასავლეთ საქართველოს რეგტრიბუნალი.
- 10. აღმოსავლეთ საქართველოს რეგტრიბუნალი.
- 11. აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი.
- 12. დასავლეთ საქართველოს პროკურორი.
- 13. უზენაეს რეგტრიბუნალის პროკურორი.
- 14. ქართულ მსროლელთა დივიზიის სამხედრო რეგტრიბუნალი.
- 15. ქართულ მსროლელთა დივიზიის სამხედრო რეგტრიბუნალის სამხედრო პროკურორი.
- 16. უზენაესი პროკურორის თანაშემწეები.
- 17. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

5.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის უწყება.

- 1. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.
- 2. ცხენთა საჯიშოების სამმართველო.
- 3. სავეტერინარო განყოფილება.
- 4. საქონლის ჭარის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგური. (ს. ტაბახმელაში).
- 5. სატყეოების გამგეები. (ლენსიჩი).
- 6. მაზრის აგრონომები.
- 7. საძოვართა რაიონების გამგეები.
- 8. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ცენტრ-საწყობი.
- 9. სახალხო მამულები და საცდელი დაწესებულებანი.
- 10. ტფილისისა და ქუთაისის სააბრეშუმო სადგურები.
- 11. ტფილისის და ბათუმის პოტანიკური ბაღები.
- 12. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების სა-ადგილ-მამულო გან-ანი.

6.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უწყება.

- 1. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.
- 2. დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება.
- 3. საკურორტო სამმართველო.
- 4. ჯ. ს. კ. ფორმაცევიტიული განყოფილება.
- 5. „კამოს“ სახელობის საავადმყოფო.
- 6. სამედიცინო გინეკოლოგიური ინსტიტუტი.
- 7. თვალის საავადმყოფო.
- 8. მთავარი საავადმყოფო.
- 9. ბავშვთა საავადმყოფო.
- 10. ფსიქიატრიული საავადმყოფო.
- 11. ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი.
- 12. გამასწორებელ სახლის საავადმყოფო.
- 13. ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი.
- 14. სასანიტარო საგანმანათლებლო საბჭო.
- 15. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების ჯანმრთელობის განყოფილება.

7.


განათლების სახალხო კომისარიატის უწყება.

- 1. განათლების სახალხო კომისარიატი.
- 2. სახალხო განათლების განყოფილებები მუზრებში.
- 3. სახელმწიფო სასწავლებლები ყველა საფეხურისა, როგორც არის: სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საპედაგოგიო ინსტიტუტი, უნივერსიტეტთან და პოლიტექნიკუმთან არსებული მუშათა ფაკულტეტები, ტექნიკუმები, ყველა ტიპის შრომის სკოლები, პროფესიონალური სკოლები (სასოფლო, სამეურნეო და სხვ.), საბავშო ბაღები, საბავშვო სახლები, კოლექტორები.
- 4. სამხატვრო დაწესებულებანი: სახელმწიფო თეატრები, ეროვნული სამხატვრო გალერეა და სტუდიები.
- 5. სამეცნიერო დაწესებულებანი: სახელმწიფო მუზეუმები, ობსერვატორიები, სეისმოგრაფიული სადგურები, სამეცნიერო საზოგადოებანი, ცენტრალური არქივი, ცენტრალური აკადემიური წიგნთ-საცავი და ლენინარსიკის სახელობის საბავშვო წიგნთსაცავი.
- 6. მკირე წლოვანთა კომისია და ავჭალის ახალშენი.
- 7. საქართველოს პროლეტ. კულტის საორგანიზაციო და საწარმოო ბიუროები.

8.

უმაღლესი სამეურნეო საბჭოს უწყება.

- 1. უმაღლესი სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმი.
- 2. ამავე საბჭოს ეკონომიური განყოფილება.
- 3. სამთო განყოფილება.
- 4. საწვავ მასალათა განყოფილება.
- 5. „საქართველოს ტყე“.



6. სავაჭრო ცენტრალური სამმართველო.
7. სახელმწიფო ღვინის ტრესტი.
8. ცენტრალური ტრანსპორტი, (ცენტრო ტრამოტი).
9. თამბაქოს ტრესტი.
10. პოლიგრაფიული განყოფილება.
11. სპინის ტრესტის გამგეობა.
12. ლ. თონის განყოფილება.
13. სატყავო განყოფილება.
14. სამკერვალო განყოფილება.
15. საწონ-საზომი პალატა.
16. სახელმწიფო სააღმშენებლო კომიტეტი.
17. ტფილისის საარტილერიო მექანიკური ქარხანა.
18. ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გამყვანი კომიტეტი.
19. ჩაუხის ქარხნის აღმდგენელი სამმართველო.
20. სასინჯი პალატა.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომ-ტის უწყება.

1. სოციალ. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.
2. სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის აღგილობრივი რწმუნებულები.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

11.

სასურსათო სახალხო კომისარიატის უწყება

1. სასურსათო სახალხო კომისარიატი
2. სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულები აჭარაში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში.
3. საქართველოს მიერ აზერბეიჯანში იჯარით აღებული თევზის სამრეწველოს სამმართველო.
4. სამაზრო და ქალ. ფოთის სასურსათო კომიტეტები.
5. სასურსათო სახ. კ-ტის როსტოვის კონტორის სამმართველო.

12.

შრომის სახალხო კომისარიატის უწყება.

1. შრომის სახალხო კომისარიატი.
2. ტფილისის შრომის ბირჟა.
3. აღგილობრივი შრომის განყოფილებანი.
4. შრომის ინსპექტორები.
5. დამზღვევი კასები.

13.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომი-ტის უწყება.

1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი.
2. მუშათა და გლეხთა ინსპ. სახ. კომ. რწმუნებულებითა სამმართველოები აჭარაში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში.
3. ქუთაისის, ფოთის და ტფილისის მუშათა და გლეხთა ინსპ. განყოფილება.

14.

ამიერ კავკასიის ფინანსთა სახ. კ-ტის რწმუნებულის სამმარ. უწყება საქართველოში.

1. ამიერ კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში.
2. ამიერ კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარის საქართველოში მყოფი რწმუნებულის წარმომადგენლების სამმართველოები აჭარაში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში.
3. რაიონების ფინანსთა ინსპექტორები.
4. ხაზინები.
5. არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილება.
6. არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე.
7. განყოფილების გამგის მოადგილე.
8. აქციზის უფროსი ინსპექტორები.
9. აქციზის ინსპექტორები.
10. აქციზის ინსპექტორის თანამშრომლები.
11. აქციზის კონტროლიორები.
12. სამაზრო და ქალაქის აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარი ა. გეგეჭკორი.

საერთო განყოფილების

გამგე ა. ჩიქოვანი.

ს. ს. ს. რ. უნივერსიტეტის სახ. კომის.

სირკულიარული.

ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახალხო კომისარიატებს და საბჭოთა დაწესებულებებს.

„დაწესებულებებში — საზაფხულო პერიოდში სამუშაო დღის შესახებ“.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველო ამით ვაუწყებ ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ ყველა საბჭოთა დაწესებულებებში მიმდინარე წლის საზაფხულო თვეებში — 28 მაისიდან — 15 სექტემბრამდე მუშაობის დასაწყისად წესდება დღის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომ. რწმუნებულის საქართველოში. ა. იაშვილი,

საერთო საორგ. განყოფილება. ჯურდოვანიძე.

ს რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

რაციონული პრეტულაჟი, თაგაგის მავიარ.

საქართველოს რესპუბლიკის რაციონებად დაყოფის საკითხი დიდი ხანია რაც წამოაყენა პირველ რიგში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა.

ადმინისტრაციული და ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციის საკითხი საბჭოთა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს ჩამოყალიბებულად: თუ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, სადაც ხელისუფლების ორგანოები გამოხატავენ რა გაბატონებული, ბურჟუაზიული კლასის ინტერესების დამცველს, მათ დიდი ხნის ისტორია აქვთ და ამ ისტორიულ მსვლელობაში, საუკუნოებით ჩამოისხა ის ფორმა ხელისუფლების ორგანოებისა, რომელიც დღეს არსებობს. დროთა ვითარებაში, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილება ხდებოდა, მაგრამ არა იმ მხრივ, რომ ხელისუფლების ორგანოებს შეეცვალათ თავიანთი ორგანიზაციული თვისება, ბურჟუაზიული კლასების ინტერესების დაცვისა. და თუ კი დღეს ადვილია შესასწავლად და გასათვალისწინებლად მათი სტრუქტურა, ამაში სრულებით არ სჩანს ამ ორგანოების დამსახურება ხალხის წინაშე. იქ აპარატი მანქანაა, რომელიც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში შექმნა გაბატონებულმა ჯგუფმა.

სულ სხვა გარემოებასთან და ვითარებასთან გვაქვს ჩვენ საქმე საბჭოთა რესპუბლიკაში. თეორეტიულად მზად არის ფორმა სახელმწიფოს მართვამართვა გამგეობის და ხელისუფლების ორგანოთა. მაგრამ ხშირად პრაქტიკა უსწრებს წინ თეორიას, ცხოვრებას შეაქვს შესწორებანი ამა თუ იმ დებულებაში და იმის და მიხედვით ფორმას იცვლის იგი, რჩება რა ხელშეუხებლად მისი შინაარსი.

რევოლიუციამ გააბატონა საბჭოთა რესპუბლიკებში პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა. იგია კანონმდებელი საბჭოების და სახალხო კომისართა საბჭოების სახით. ხელისუფლების ყველა ორგანო უნდა იყოს და არის დამცველი რევოლიუციონური და სოციალისტური იდეების მატარებელი კლასების, მუშებისა და გლეხების ინტერესებისა. საბჭოთა სახელმწიფო დამცველია მშრომელი კლასის. აი დებულება რომელიც საფუძვლად უდევს დღევანდელ მდგომარეობას. მთელი აპარატი უნდა იყოს მომართული ისე, რომ ამ იდეას ვისახურებოდეს, საბჭოთა სახელმწიფოში ამისათვის ყოველივე ზომაა მიღებული. მაგრამ არის ერთი დიდი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის უნაკლო აპარატების შექმნას ადგილობრივ, რომელიც მტკიცე დასაყრდნობი უნდა იყოს სახელმწიფოს მთელი სხეულისათვის. ეს არის დრო. რევოლიუციის პირველი დღეებიდან ჯერ კიდევ მცირე დროს ითვის თავის ანალებში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები.

პირველ ხანებში აპარატები ეწყობოდნენ საჩქაროდ, გარემოებათა მიხედვით. სამხედრო კომუნისმის დროს შეუძლებელი იყო ფიქრი იმის შესახებ, რომ შექმნილიყო თუნდაც დღევანდელი პირობებისათვის შესაფერი აპარატი. ამისათვის არც დრო იყო და არც მოცლა. კონტრრევოლუციის მოგერიება იყო უმთავრესი დევიზი და საომარი ხასიათის დავალება პირველ რიგში იდგა ყველასათვის. შინაგანი აღმშენებლობისაკენ ვერ აყო მიპყრობილი სათანადო ყურადღება და ამიტომ პირველი ხანის, წლებისა ცი, აპარატები დიდი ნაკლის მატარებელი გამოდგა შემდეგისათვის. საშინლად გაბერილი შტატების, ანარქიული წარმოება საქმეების, კონტროლის უქონლობის, უსახსრობის, შეუფერებელი პირების შეპარვის სახელმწიფო ორგანოებში, უპასუხისმგებლობის და უმთავრესი გამოუცდლობის, პრაქტიკის უქონლობის და ბევრი სხვის, შედეგი იყო არსებული აპარატების გადახალისება—გარდაქმნა. ამ დარგში დიდი მუშაობა სწარმოებდა და სწარმოებს როგორც რუსეთში, რომელსაც ორი-სამი წლით მეტი პრაქტიკა და გამოცდილება აქვს, ვინემ საბჭოთა საქართველოს, ისე ჩვენშიც და თანდათანობით შეტანილ იქნა როგორც ნაწილობრივი შესწორება, ისე მთლიანი სახის ცვლილება არსებულ ორგანოთა და იდმინისტრაციული ერთეულების სტრუქტურაში.

ცხადია არც ეს ცვლილება იქნება უკანასკნელი. დრო და ცხოვრების გაკვეთილები მძლავრი მუჯლოგუნით კიდევ გადააქანებენ პროგრესისაკენ არსებულ ერთეულებს და ორგანოებს. და თანდათანობით ჩამოყალიბდება ის, თუ იდეალური არა, მასთან მიახლოებულ აპარატი ხელისუფლებისა, რომელიც უსასტიკეს და გამარჯვებისაკენ მიმართულ კონკურენციას გაუწევს ბურჟუაზიული წყობილების, ნგრევის გზაზე დამდგარ ორგანოებს. ჩვენ დღეს დიდი ცდის ხანაში ვართ და ამიტომ შემოქმედებითი ხასიათის აღმშენებლობითი მუშაობა პიგანტური ნაბიჯებით მიდის და წავა კიდევ წინ.

ამიტომ სავსებით მართალი და სწორი გამოდგა ის ხაზი, რომელიც აღებული ჰქონდა შ. ს. ს. კომისარიატს საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების რეორგანიზაციის პროექტს რომ ადგენდა. ეს გარემოება დადასტურა რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის უკანასკნელმა სესიამ, რომელმაც თავის ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებას, ხელისუფლების აპარატების და რეორგანიზაციის შესახებ, იგივე პრინციპები დაუდგა საფუძვლად და ისეთივე სახე მისცა, რომელიც საქართველოს ცაკის სესიაზე ჯერ-ჯერობით არ იქნა მიღებული. რა ხასიათის იყო ეს პროექტი და რით სჯობია იგი არსებულს! რა ცვლილება შეაქვს პროექტს არსებულში და რა არის რაიონი, თემის მაგიერ? ამის შესახებ შემდეგ ნუმერში.

მაზრის აღმასკომის

მთავრე მიმხილვას სამხრეთ აღმასკომთა მოხსენების მიხედვით.

თ ე ლ ა ვ ი ს მ ა ზ რ ა .

თელავის მაზრის აღმასკომის მმართველობის განყოფილებამ თავისი სამთავრო ანგარიში წარმოადგინა ა/წ 15 მარტის თარიღით. ანგარიში შეიცავს კონსპექტურ მოხსენებას აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ 1 იანვრიდან 15 მარტამდე.

საანგარიშო პერიოდში აღმასკომს ჰქონია სულ 9 სხდომა და განუხილავს სხვა და სხვა საორგანიზაციო და საადმინისტრაციო საკითხები. აღსანიშნავია დადგენილებანი აღაზნის ხიდის შეკეთებისა და თელავის რკ. გზის სადგურის ქილაქთან დაახლოვების შესახებ და სხვ. რომელთა ცხოვრებაში გასატარებლად გადადგმულია ნაბიჯები.

მართველობის განყოფილება მუდმივ ხელმძღვანელობას უწევს თემის აღმასკომებს, — აწვდის მათ ინსტრუქციებს სახელმძღვანელო ცირკულირებს, საჭირო ცნობებს და მუდმივი ინსტრუქტორის საშუალებით კონტაქტში იმყოფება მათთან. ამ მხრივ მიღწეული შედეგები თვალსაჩინო და დამაკმაყოფილებელია.

მართველობის განყოფილება მონაწილეობას იღებს აღმასკომისა და პრეზიდიუმის დადგენილებათა ცხოვრებაში სისწორით გატარების საქმეში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაზრალმასკომისა და მის ქვემდებარე ორგანოების მიერ გამოცემული დადგენილებისა და ბრძანების გაუქმება მომხდარიყო.

მაზრის აღმასკომის, და მის ქვემდებარე ორგანოების მუშაობა, რომელიც 1 იანვრამდე უფრო სუსტად მიმდინარეობდა, ამ დამად სრულიად დამაკმაყოფილებელია. მაზრის ხელისუფლების ორგანოების ურთიერთშორის უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თანამდებობიდან მოხსნილნი არიან, როგორც მაზრის, ისე თემის აღმასკომებისა და შინამართვ. განყ. გამგეც, რომელთა მაგიერ დანიშნულნი არიან ახალი პირები. აღმასკომისა, პარტკომისა და პოლიტ. ბიუროს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

მ. მ. ა. ჩ. ის ქვე-განყოფილების, როგორც მაზრის ისე თემების კანცელარიებს არა აქვთ სათანადო წიგნები, რაც საკმაოდ აფერხებს საქმის ნორმალურ მსვლელობას და თანახმად № 28 დეკრეტისა, დავთრების ორ ცალად წარმოება შეუძლებელი ხდება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაზრის მაშტაბათ აღრიცხულია — ქორწინება, 33, დაბადება 57, და გარდაცვალება 43.

მილიცია ამ ბოლო ხანებში დიდ უნარიანობასა და ენერგიას იჩენს თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებაში. ბანდიტებთანა და ბოროტმოქმედებთან ბრძოლა წარმატებით და დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. ახლო ხანში მაზრაში მოსალოდნელია ბანდიტიზმის სრული ლიკვიდაცია. მილიციის შემადგენლობა გაჯანსაღებულია და საიმედო.

კომუნალურ დარგში ყველა საქმე რიგზე არ მიმდინარეობს: გზები ძლიერ დაზიანებულია და თუმცა თემის აღმასკომები აწარმოებენ შეკეთებას, მაგრამ ამ მხრივ დიდი წარმატება არ არის მიღწეული. ასეთივე უნუგეშო მდგომარეობაშია ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები, რაც თვალსაჩინო დეფექტად უნდა ჩაითვალოს.

სურსათის მხრივ — მაზრის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

განათლების განყოფილებამ წელს გახსნა ორი სკოლა: ს. კოლოთოში და ახლად გადმოსახლებულ უდინების სოფელ ზინობიანში. აგრძედე განახლდა მეცადინეობა ფიჩხოვანის შრომის სკოლაში და თელავის სამუსიკო სასწავლებელში. შედგენილია მაზრის სკოლების მოწაფეთა პერსონალური სიებო და მოხდა მათი სტიტიტიკა რაოდენობის, ეროვნების და სქესის მიხედვით.

მიწადმოქმედების განყოფილებამ იანვრის ბოლო რიცხვებში თელავში მოიწვია მთელი მაზრის მეურნეთა თათბირი და მიიღო ზომები მიწების დანაწილებისა და მათი რაციონალურად გამოყენების შესახებ. განყოფილებამ შეადგინა მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, დაამზადა სათესლე მასალა, საკუთარის ინიციატივით მოხდა მიწების თვალსაჩინო სივრცე, მოაწყო, სხვა და სხვა სამეურნეო დარგის მკოდნე პირთა ლექციები და სხვ. განყოფილებაში შემოსულ ქალაქებიდან განხილულია 28 საქმე.

შრომის ინსპექტორი აწარმოებდა უმუშევართა აღრიცხვას და შეძლებისდაგვარად ადგილებზე განწესებას. შრომისა და ტვირთხიდვის ბეგარაზე გამოყვანილია 122 ურემი.

დამზღვევი კასა ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებს დახმარებას უწევდა.

ამ საჭიროებაზე კასას გაუცია 113.062,000 მანეთი.

დანარჩენ განყოფილებათაგან მიღებული არ არის საჭირო მასალები მათი მოღვაწეობის გასაშუქებლად.

მართველობის განყოფილებას მიღებული აქვს ყოველგვარი ზომები მომავალში შემჩნეული დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

რ ა ჯ ი ს მ ა ზ რ ა .

რაჭის მაზრის აღმასკომის შინამართველობის მოხსენება შეეხება თითქმის გასული წლის მთლიან მოღვაწეობას, და წარმოდგენილია ა/წ 5 თებერვლის თარიღით. მოხსენების შესავალში მოკლედ დახასიათებულია ის საერთო და სტიქიური ვაჭირვება, რომელსაც განიცდის ამ მაზრის მოსახლეობა უმთავრესად მიწის სივიწროვის, მოუსავლობის და სტიქიურ უბედურებათა ნიადაგზე. მოხსენებაში ნათქმია, რომ: წარსული წელი რაჭის მაზრისთვის დაუვიწყარი იქნება — ერთის მხრივ თავისი ვაჭირვებითა და უბედურებით და მეორეს მხრით, საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით, რომელმაც დაუღალავი და აუწყრელი ენერგია გამოიჩინა ამ ვაჭირვებისა

და უბედურების თავიდან ასაცდენად ზომების მიღებისა და სახსარის გამოწვევით. ამ მხრივ მთავრობამ მრავალი მშრომელი გადაარჩინა აუცილებელ სიკვდილს და გაპარტახებულ მცხოვრებთა მდგომარეობა ნორმალობამდე მიიყვანა მთავრობის ასეთმა მზრუნველობამ მას რაქის მცხოვრებთა შორის დიდი სიმშაბია მოუხვეჭა და მრავალი გულწრფელი მომხრე მოუბოვა.

მიწის სიფიწროვე რაქაში მუდმივ უბედურებას წარმოადგენდა და ეს საკითხი დღესაც მტკივნეულადაა სდგას. მცხოვრებთა თვალსაჩინო ნაწილისათვის არსებობის წყაროს ისევ „გარეთ გასვლა“ შეადგენს და „ლუკმის საძიებლად“ რაქველები მუდამ ილტვიან ქალაქისა და სხვა კუთხეებისაკენ.

მაზრის აღმასკომი საანგარიშო დროის განმავლობაში უწყვეტად საერთო ხელმძღვანელობას ყველა განყოფილების მოქმედებას და აძლევდა სათანადო დირექტივებს.

მართველობის განყოფილებამ ჩატარა გაწმენდა აღმასკომის, მილიციის და საბჭოების. საადგ. მაკულო განყოფილებასთან შეთანხმებით ჩამოართვა მიწები და გადასცა საჟონდოთ, მოაწყო ქ. ონში სამაზრო მილიცია, დაარსა სამილიცია პოსტები (სხვათა შორის ს. შქმერში), საიდანაც მილიციონერები ვალდებულნი არიან ვაჰყენენ და გააცილონ საჩხერეში მიმავალი მგზავრები რათა დაიცვან ისინი ბანდიტების თავდასხმისაგან, ამასთანავე განყოფილება ხელმძღვანელობას უწყვეტად თემების აღმასკომებს და აწვდიდა მათ სათანადო ინსტრუქციებს, დეკრეტებს, განმარტებებს და ცირკულიარებს. იგი თვალყურს ადევნებდა, შიმშილობით გამოწვეულ ვაჭირკებათა შემსუბუქების საქმეს, ებრძოდა დეზერტარობას, თვალყურს ადევნებდა მილიციის მოქმედებას, რომელიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ბოროტმოქმედებასთან და სხ 1922 წ. განმავლობაში შინაშარტველობის განყოფილებას შემოსულ და გასულ ქაღალდების რიცხვი უდრის 2673.

მმაჩის ქვე-განყოფილებათა მუშაობა. ყველა თემებში მან სამოქალაქო მდგომ. აქტების წარმოების საქმე მიანდო თემების მდივნებს და გააუქმა მმაჩის გამგეების ცალკე თანამდებობანი. ამ ეამად მთელი მაზრა და თემების მაშტაბით მმაჩის საქმეების წარმოების თვალყურის დევნება და ხელმძღვანელობა დავალებული აქვს მაზრის სამოქალაქო აქტ. ჩამწერ განყოფილების გამგეს. განყოფილებამ ცენტრიდან გამოთხოვილ საჭირო დაკორებიდან მიიღო მხოლოდ მცირე ნაწილი, რაიც მას საშუალებას არ აძლევს ჯეროვანად აწარმოვოს თავისი საქმეები თანახმად არსებული დეკრეტისა.

კომუნალური განყოფილება აწარმოებდა სა-აღმშენებლო მუშაობას და მრავალ დამაკმაყოფილებელ შედეგებსაც მიაღწია: იგი 1922 წ. განმავლობაში აკმაყოფილებდა ბინებით ყველა დაწესებულებებს და მოსამსახურე პირებს, გაატარა მუნიციპალიზაცია და საბინაო გადასახადის ბეგარა. გააკეთა სამაქდრო გზა მამისონის უღელტეხილიდან ქრებალომდე და აგრედვე ნაქერალს გზა, გააკეთა

ახალი ხიდები, მოაწყო სახერხი ქარხანა, აკეთებდა რიცეულოზე ელექტრონის სადგურს, ონში მოაწყო დაბახანა, გააკეთა შენობები—უწერის აგარაკში, იქვე მოაწყო აბანო და მუავე წყალის მილი, მილი და აუზი, თვით ცენტრში შეაკეთა თეატრი, აწყობს აბანოს, აკეთებს სასოფლო გზებს და ჯაჭვის ხიდებს ქრებალოში და ამბროლაურში. აკეთებს ჯების რიონის მიმართულების შესაცვლელად ონთან და სხვა.

სასურსათო განყოფილებამ გასული წლის განმავლობაში აკრიფა მხოლოდ ნატურგადასახადი და დააწესა მინდი წისქვილებზე იგი. აკმაყოფილებდა მოსამსახურეებს ულოფით.

ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებაში იყო ორი საავადმყოფო და ოთხი აფთიაქი მან რაქა დაჰყო საიქიმო უბნებად, დაარსა საფერ-შოო პუნქტები, შეიძინა 200.000.000 მანეთის წამლები, მოაწყო ლექციები, საუბრები, ყვავილის აკრა და შეასრულა სხვა და სხვა სასანიტარო ხასიათის საქმეები.

სამიწადმოქმედო განყოფილება აწარმოებდა მიწის რეფორმის ჩატარებისათვის მიზანშეწონილ მუშაობას. მან გაჰყო რაქა ორ ნაწილად, დაზომა ყვილა მიწები, და ნორმაზიდ მეტი მიწები—59 ნაქერი დაურიფა უმიწაწყლო გლეხობას. მან დაიმუშავა ონში რამოდენიმე ნაქერი მიწა და მოიყვანა 300 ფუთი სიმინდი. ს. ხორში დაარსა სას. მეურნეო იარაღების საწყობი, საიდანაც ხელმოკლე გლეხობას უფასოდ ურიგდებოდა საჭირო იარაღები, ხოლო შეძლებულებს დღეში ორ გირვანქა ხორბალზედ.

საფინანსო განყოფილება აწესრიგებს საგადასახადო საქმეებს,—თუმცა მას დაკისრებული აქვს დიდი მოვალეობა მაგრამ თანხების უქონლობა ხელს უშლის.

განათლების განყოფილებამ შეაკეთა სკოლები, შეიძინა სახელმძღვანელოები, ჩამოაყალიბა მასწავლებლოთა შტატი და სხვ. მაზრაში არის სულ ერთი ტენიკუმი, რვა მთლიანი შრომის სკოლა, 50 ნახევარკომპლექტიანი სასწავლებელი, ორი საფეიქრო სკოლა და ერთი საბავშო ბაღი. მოწაფეთა რიცხვი უდრის სულ 5004, მასწავლებლების რიცხვი—145.

თემის აღმასკომები აწარმოებდნენ მუშაობას და ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობათ. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ აღმასკომებში გამოცდილ მომუშავეთა უყოლობისა გამო თქმალმასკომები ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი:

დაიპარტე მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1919 წ. ირაკლი ნესტორის ძე ისაკაძის სახელზე, გაუქმებულია.

დაიპარტე მეტრიკული ამონაწერი მიღებული

სინოდ. კანტორიდან 1921 წ. პროკოფი ნიკიფორეს ძე მესხის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული მმაჩიდან 1920 წელს № (არ აქვს) მაკარ ყარაზანის ძე კოლიძე — გაუქმებულია.

დაიპარგა პირადობის მოწმობა მიღებული შ. ს. ს. კ. იგნისის 12 თარიღი № 1901, ლუკა ივანეს ძე კიბაბიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი სინოდ. კანტორიდან 1891 წ. № 1612 კონსტანტინე ალექსანდრეს ძე წულუკიძის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული სინოდ. კანტორიდან 1919 წ. № 917 მარიამ კონსტანტ. ასული გვარამაძის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 499 მიღებული სინოდ. კანტორიდან 1919 წ. ელენე ალექსანდრეს ასული ციციშვილის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 3074 მიღებული სინოდ. კანტ. 1900 წ. სერგო ვასილის ძე პარაკუსიკოვის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 2958 მიღებული სინოდ. კანტორიდან 1887 წ. ალექსანდრე ივანეს ძე ავაქოვის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1418 მიღებული სინოდ. კანტორიდან 1920 წ. ზაქარია იოსების ძე ხოსიტაშვილის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 45 მიღებული 1917 წ. სომეხთა კონსისტორიიდან გიურქ ზაქარიას ძე ჰაპოვის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 507 მიღებული 1919 წ. სინოდ. კანტორიდან ალექსანდრე თევდ. ძე მატარაძის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 3854 მიღებული 1914 წ. სერგ. ალექსანდრეს ძე მაილოვის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 3854 მიღებული 1914 წ. პეტროს მარკოსის ძე თეიმურაზიანცის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 995 მიღებული 1922 წ. ალექსანდრე ვასილის ძე ინასარიძის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული მოწმობა № 5595 მიღებული 1886 წ. იასე ასანის ძე წერეთელის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 2642 მიღებული 1922 წ. სომ. კონსისტ. აშენ ოვაკიმეს ასული კასაბაბაევის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 437 მიღებული 1916 წ. ნიკოლოზის ეკლესიიდან სიკოლოზ ბესარიანის ძე შარვაძის სახელზე გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 2182 მიღებული 1918 წელს. აშენ ზადასის ასული შინაიანის სახელზე. გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 785 მიღებული 1913 წ. ილია გიორგის ძე გელაძის სახელზე — გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1198 მიღებული 1915 წ. სინოდ. კანტ. ნადეჟდა ფილიპეს ასული რუსთაშვილის სახელზე. გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1918 მიღებული 1893 წელს სინოდ. კანტ. გიორგი გეანსიმეს ძე კანდელაკის სახელზე. გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 3240 მიღებული 1916 წ. გურგენ ჰეტრასის ძე შახნაზარაფის სახელზე. გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 2298 მიღებული 1916 წ. სომეხთა კონსისტორიიდან ელენე აშაიანის ასული ერზიკიანის სახელზე. გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1266 მიღებული 1899 წ. სინოდ. კანტორიდან ახლოივანეს ძე მკალობაშვილის სახელზე. გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1671 მიღებული 1910 წ. სომეხთა კონსისტორიიდან სერგო ივანეს ძე ბასილავის სახელზე. გაუქმებულია.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 114 მიღებული 1915 წ. სინოდ. კანტორიდან კონსტანტინე სპირიდანის ძე მიმინაშვილის სახ. გაუქმებულია.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განცოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აქხადებს რომ მოქ. ზამან სტახის ძე ზაგუბიკაბილამ შემოიტანა განცხადება მისი გვარის ზაგუბიკაბილი პეტროვზედ შეცვლის შესახებ. ქვე-განცოფილების გამგე ა. შარაქიანი.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განცოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმასკომის მმაჩის განცოფილება აცხადებს, რომ მოქ. ალექსანდრე რევაზის ძე ჩალოფაშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ჩოლოყაშვილის — რევაზის შვილზე შეცვლის შესახებ.

მმაჩის ქვე განცოფილების გამგე მე-III რაიონის აქციზის ინსპექტორი ნიკიტინი აცხადებს, რომ ნასყიდა სსაკომა დაპარგა ღვინის გადასატანი მოწმობები № № 5804, 5805 და 5806 რომლებიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

თანხმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის აღმასკოს მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. ივანე ზაფაძეს ძე იანუჯაფაშა შემოიტანა განცხადება მისი გვარის იანულოვი იანუჯაფაშაშვიდ შეცვლის შესახებ.

ქვე-განყოფილების გამგე ნ. შარაძენიძე.

ფოთის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო ამით აცხადებს რომ მოქ. ისაკი ბაკურას ძე რურუას დაკარგვია პირადობის მოწმობა გაცემული სეფიეთის თემის აღმასკომის მიერ, 23 სექტემბრიდან 1922 წ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქ. ფოთის მ/გ. მილიციის უფროსი გვგია.

სამმართველოს მდივანი რ. შელია.

თანხმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს რომ, მოქ. ალექსანდრე აბაშიას ძე აფთქაძეა შემოიტანა განცხადება მის გვარის აფთქაძე თამარინსკად შეცვლის შესახებ.

თანხმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. შარამ შეტრეს ასუქმა კლიუჩევსკაიამ შემოიტანა განცხადება მისი გვარის კლიუჩევსკაია შიმჩენკა-სირენკაშვიდ შეცვლის შესახებ.

ქვე-განყოფილების გამგე შარაშენიძე.



შ ი ნ ბ ა რ ს ი

მე-54-ე №-ში მოთავსებული მასალებისა:

ოფიციალური განყოფილება.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი:

- 1) დადგენილება — ა/კ. სამეცნიერო ასოციაციის მოწყობის შესახებ.
- 2) დადგენილება — კანონ - პროექტების წარდგენის წესის შესახებ.
- 3) დადგენილება — ერთიან სასოფ. გადასახადის არაპირიან გადამხდელთათვის ადმინისტრაციულ სასჯელის დაწესების შესახებ.
- 4) დადგენილება — საშეფო საქმ. დებულების 5 მუხ. 1-ლი შენიშვნისა და 12 მუხ. შეცვლის შესახებ.
- 5) დადგენილ. — ადგილობ. გადასახადისათვის უკიდურესი განაკვეთის დაწესების შესახებ.
- 6) დადგენილება — საღერბო გადასახადთა წესდების მე-3 მუხლში გათვალისწინებულ გადასახადის რაოდენობის გადიდების შესახებ.

ა/კ. სასახლხო კომისარათა სკებჭა:

- 7) დადგენ. № 55 — საღერბო გადასახადის შესახებ.
ს. ს. ს. რ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი:
- 8) ბრძანება — ლ. დუმბაძის შრომის სიხალხო კომისარად დანიშვნის შესახებ.
- 9) დადგენილება № 45 სახელმწ. ღერბ. ბექტ. ხმა-

რებისათვის გამოცემულ დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

ს. ს. ს. რ. სასახლხო კომისარათა სკებჭა:

- 10) დეკრეტი — ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით ჩამორთმეული ქონების სარგებლობის წესის შესახებ.
- 11) ბრძანებანი №№ 9, 11.
- 12) დადგენილება № 101 — შეურვეობის შესახებ.
- 13) დადგენილება № 103 დადგენილების № 46 გაუქმების შესახებ.

შინაგან საქმეთა სასახლხო კომისარიატი:

- 14) ცირკულიარები (13 ცირკ.).
- 15) ინსტრუქცია — ვინაობის წიგნაკების გაცემის, მიღების და ხმარების შესახებ.
- 16) ინსტრუქცია ბექტების დამზადებისა, ხმარებისა, შენახვისა და მოსპობის შესახებ.
- 17) სია იმ დაწესებულებათა, რომელთაც აქვთ უფლება სახელმწიფო ღერბიანი ბექტის ხმარებისა.

არაოფიციალური განყოფილება.

- 17) მეთაური — რაიონული ერთეულები — თემების მაგიერ.
- 19) მარტების აღმასკომებში.
- 20) განცხადებანი.

